საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 ივლისი **შაბათი** 2010

№ 160 (13 148) ფასი 60 თეთრი

# დიდი ფინალის მოლოდინში



# ...ეთამაშო და მოუგო ესპანეთს!

# პლატინიმ გონება დაკარგა...



პარასკევ საღამოს იოჰანესბურგის ერთ-ერთ რესტორანში სადილის წინ **მიშელ პლატინიმ** გონება დაკარგა. ამასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია უეფას წარმომადგენელმა **უილიამ გაილარდმა** გააკეთა, მას მერე, რაც პლატინი უახლოეს კლინიკაში გადაიყვანეს.

*„ის ახლა კარგად არის, - ამბობს გაილარდი, - სამხრეთ აფრიკაში ცივა და ბოლო რამდენიმე დღეა, უეფას პრეზიდენტი გაციებულია. გონების დაკარგვის მიზეზიც ეს უნდა იყოს. მას სისხლში შაქარი დაწეული ჰქონდა, რადგან უჭმელი გახლდათ. ველაპარაკე ხალხს, ვინც საავადმყოფოში მასთან ერთადაა. მათ მითხრეს, რომ მიშელი თავს კარგად გრძნობს".*

მიუხედავად ნორმალური ანალიზებისა, ექიმების გადაწყვეტილებით პლატინი ჰოსპიტალში კიდევ რამდენიმე დღეს დაჰყოფს. გაილარდმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები იმასთან დაკავშირებით, თითქოს 55 წლის პლატინის გულის შეტევა მოუვიდა...

მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, ლეგენდარულ ფეხბურთელსა და უეფას თავკაცს დროული გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ოქრიაშვილს დებიუტი მოუწონეს



» გვერდი 9

**მესამე ადგილისთვის**

10 ივლისი, შაბათი. 22:30

**ურუგვაი–გერმანია**

პორტ ელიზაბეტი

**ფინალი**

11 ივლისი, კვირა. 22:30

**ჰოლანდია–ესპანეთი**

იოჰანესბურგი

# გერმანიას ბრინჯაო უნდა და... არც უნდა

წინათქმა » გვერდი 2-3

# უცნაურობანი დინამოს გარშემო

» გვერდი 7



11 ივლისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 22:30






# ...ეთამაშო და მოუგო ესპანეთს!

## ჰოლანდია ნარინჯისფერით, ესპანეთი ლურჯით

**და აი, მთავარი მატჩის დროც დადგა - კვირას იოჰანესბურგის „სოკერ სიტიზე" ინგლისელი რეფერი ჰოვარდ ვები ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრებებს მინდორზე უხმობს. 90, 120 წუთის ან ცოტა უფრო მეტი ხნის შემდეგ ერთ-ერთი ამ გუნდთაგანი მსოფლიოს მერვე ჩემპიონი გახდება. შეძლებს ჰოლანდიის ნაკრები მესამე ცდაზე სანუკვარი მიზნის მიღწევას? თუ ესპანელები პირველივე ცდაზე მოახერხებენ ჩემპიონობას? ამ კითხვებზე პასუხს ფინალი გასცემს, რომელსაც ყველა წინაპირობა აქვს თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო თამაშთაგანი გამოდგეს...**

აქამდე ჰოლანდიისა და ესპანეთის ნაკრებები ერთმანეთს 8-ჯერ შეხვდნენ, მცირე უპირატესობა „ნარინჯისფერთა" მხარესაა - ჰოლანდიის ნაკრებმა 4 დაპირისპირება მოუგო ესპანეთს, 3 დათმო, ერთი მატჩიც ფრედ დასრულდა. ბურთებში უპირატესობა ესპანელთა მხარესაა - 12:10. მსოფლიოს ჩემპიონატამდე მუნდიალს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა, აქედან ერთ-ერთმა - **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდმა გაამართლა ფავორიტობა, ხოლო ბრაზილიის ნაკრებმა სწორედ ჰოლანდიელებთან წაიფორხილა. ვინც არ უნდა მოიგოს ფინალი, პლანეტას ლირსეული ჩემპიონი ეყოლება, რადგან ორივე გუნდმა დიდებულად განვლო არა მარტო ფინალური ეტაპი, არამედ - საკვალიფიკაციოც. ჰოლანდიელებს სულაც ასპროცენტიანი შედეგი აქვთ: მათ ორ-ორჯერ დაამარცხეს ნორვეგიელები, შოტლანდიელები, მაკედონიელები და ისლანდიელები (საკვალიფიკაციო ეტაპი), შემდეგ კი მიმდევრობით მიანწყვეს: დანიელები, იაპონელები, კამერუნელები, სლოვაკები, ბრაზილიელები და ურუგვაელები.

„ნარინჯისფერმა" არმიამ ზედიზედ 14 მატჩი მოიგო და ფინალში ისე გავიდა. მართალია, ესპანელებს 100%-იანი შედეგი არა აქვთ, მაგრამ არც მათ შეურცხვენიათ თავი - შესარჩევ ეტაპზე „ფურია როხამ" ზედიზედ 10 მატჩი მოიგო (ორ-ორჯერ ბოსნიის, თურქეთის, ბელგიის, ესტონეთისა და სომხეთის წინააღმდეგ), მაგრამ მუნდიალის პირველივე ეტაპზე დათმო მატჩი შვეიცარიის ნაკრებთან. ამის შემდეგ პირენეელებმა ისევ ყველა მატჩი მოიგეს: ჰოლანდიასთან, ჩილესთან, პორტუგალიასთან, პარაგვაისთან და გერმანიასთან. ბოლო სამი მატჩია „ფურია როხა" მინიმალური ანგარიშით, 1:0 იმარჯვებს.

ჰოლანდიელთა თავკაცი **ბერტ ვან მარვიიკი** მიიჩნევს - იმის მიუხედავად, რომ ესპანეთის ნაკრები უფრო თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე მისი გუნდი, მას და მის შეგირდებს იოტისოდენადაც არ ეშინიათ მეტოქის.

*„დღეისთვის ესპანეთი, ალბათ, ოდნავ უფრო სანახაობრივად თამაშობს, ვიდრე ჰოლანდიის ნაკრები. მეტოქე ძალიან კარგად ფლობს ბურთს და უბურთოდაც სწორად მოძრაობს, მისი ფეხბურთელები სწრაფად აზროვნებენ. ძალიან საინტერესო ფინალი იქნება, რადგან ორივე ნაკრებს უყვარს ნამდვილი ფეხბურთის თამაში. წარსულზე და წარსულში ნაგებულ ორ ფინალზე არ ვფიქრობთ, ახლა მთავარი ეს მატჩია. რაც მოხდა წარსულში, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ იმ მატჩებს ახლა არავითარი გავლენა არა აქვთ ესპანელებთან დაპირისპირებაზე და არც უნდა ჰქონდეთ. არ არსებობს მეტოქის საიდუმლო, რომელიც ჩვენ არ ვიცით და პირიქით, ამიტომ ესპანელთა შიში სულაც არ გვაქვს. მეტოქე განსაკუთრებით ძლიერია ბურთის კონტროლში, ამის საწინააღმდეგოდ რა უნდა მოიმოქმედონ, ჩემს ფეხბურთელებს აუცილებლად ვეტყვი, თუმცა აქ, ბუნებრივია, არ გავამხელ საიდუმლოს. სულაც არ მაშფოთებს, რომ ფინალში ფავორიტად ესპანელებს მიიჩნევენ, ეს კარგიც კია ჩვენთვის. სულაც არ მაინტერესებს - მთელმა მსოფლიომაც რომ მიიჩნიოს ესპანეთი ფავორიტად, მაინც ჩვენსას შევეცდებით. ეს იქნება ორი დიდი გუნდის დაპირისპირება, ორი გუნდისა, რომელსაც სურს და შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება. ჩვენ პატივს ვცემთ მეტოქეს, მაგრამ საერთოდ არ გვეშინია მისი. ვიმედოვნებ, რომ იმ განწყობას, რომელიც ახლაა ჩვენს ბანაკში, თამაშამდე შევინარჩუნებთ. ბიჭები თავიანთ ძალებში დარწმუნებულნი არიან. დიდი გამოწვევაა - ეთამაშო და მოუგო ესპანეთს"*, - განაცხადა ვან მარვიიკმა ფიფას ოფიციალურ საიტზე.

ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი **არიენ რობენი** თანახმაა, მისმა გუნდმა ცუდად ითამაშოს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდეს. *„გაცილებით მირჩევნია, საძაგლად ვითამაშოთ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ, ვიდრე ლამაზად ვითამაშოთ და საბოლოო გამარჯვება მეტოქეს დარჩეს. ჩვენს ნაკრებს, რა თქმა უნდა, შეუძლია ფინალში სანახაობრივი ფეხბურთი შესთავაზოს მეტოქეს, მაგრამ ჩვენ არასოდეს მოვიშლებით ორგანიზაციული კუთხით, თუ საჭირო იქნება, ყრუ დაცვასაც შევთავაზებთ ესპანეთის ნაკრებს. ჩვენ ვართ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, აქედან კი თუ როგორ ითამაშებ, მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია მიზანს მიაღწიო. ბევრჯერ გვსმენია, რამდენად კარგია ლამაზი ფეხბურთის თამაში, მაგრამ ამ გზამ შეიძლება არსად მიგვიყვანოს, მოგვწყინდა - ტიტულის მოგება გვსურს"*, - კატეგორიულია მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი.

*„ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი 23 ესპანელის კარიერაში. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ჩემპიონები, ამისთვის ერთი ძალიან რთული ნაბიჯი დაგვრჩა გადასადგმელი. გუნდში ასეთი განწყობაა, არც დარწმუნებულნი ვართ, რომ მეტოქეს აუცილებლად ვაჯობებთ და არც იმის შიში გვაქვს, რომ ჰოლანდიის ნაკრები მოგვიგებს. მოკლედ, ყველაფერს თავად ფინალი გამოაჩენს. არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს ჰოლანდიის ნაკრები დაცვით ფეხბურთს თამაშობს. მეტოქეს სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს და როგორც ჩვენ, ისინიც არასოდეს ღალატობენ ნაკრების თამაშის სტილს. ვიცით, რომ რობენი ტექნიკური, სწრაფი და ძლიერია, მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ რობენზე აქცენტის გაკეთება, ჰოლანდიას სხვა კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს, ვესლი სნეიდერი და დირკ კაიტი ასევე ძლიერები და საშიშები არიან"*, - ეს კი ესპანელთა კარის დარაჯის **იკერ კასილიასის** სიტყვებია.

2010 წლის მუნდიალის ფინალი რალაც დოზით იმ „ტოტალური ფეხბურთის" მემკვიდრე იქნება, რომელიც 40 წლის წინათ დაიბადა ამსტერდამში. ფეხბურთის ეს ნაირსახეობა ჰოლანდიასა და ესპანეთში ორ სხვადასხვა - „აიაქსურ" და „ბარსელონურ" შტოდ განვითარდა, რამაც ასახვა ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებშიც პოვა. შედეგად კი მივიღეთ ორი ძალიან კარგი ნაკრები, რომელიც დიდებულ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ამ დრომდე არ უმართლებდათ. ვინც არ უნდა მოიგოს ეს შეხვედრა, სანახაობრივი ფეხბურთი მაინც გამარჯვებული დარჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

***P.S.* *გერმანიაში სახელგანთქმულმა რვაფეხამ ამჯერად ესპანეთის გაჩემპიონება „იწინასწარმეტყველა".***

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ნომინალურმა მასპინძელმა ჰოლანდიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მუნდიალის გადამწყვეტი მატჩის ჩატარება „მშობლიური" ნარინჯისფერი ფორმით გადაწყვიტა. ამის გამო ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს სათადარიგო, მუქი ლურჯი ფერის მაისურების ჩაცმა მოუწევთ. ამ ფორმით ესპანელებმა ბოლოს პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშეს მუნდიალის მეოთხედფინალში, სადაც 1:0 გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ წითელი ფორმით მოთამაშე გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. ეს 1966 წელს ინგლისის ნაკრებმა შეძლო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სამხ. აფრიკა 2010

მატჩი III ადგილისთვის

# გერმანიას ბრინჯაო უნდა და არც უნდა

## ურუგვაი სამხრეთამერიკული ფეხბურთის პრესტიჟისთვის იბრძოლებს

10 ივლისი. პორტ ელიზაბეტი. ნელსონ მანდელა. 22:30

**ურუგვაი–გერმანია**

სავარაუდო შემადგენლობები

**ურუგვაი (4-1-2-1-2):** მუსლერა - მაქსი პერეირა, ლუგანო, გოდინი, ფუსილე - არევალო რიოსი - პერესი, ალვარო პერეირა - ფორლანი - კავანი, სუარესი.

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, იანსენი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი, იოზილი, პოდოლსკი - კლოზე.

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

დასრულდა თუ არა ესპანეთისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს შორის ნახევარფინალური მატჩი, რომელიც ესპანეთმა მოიგო, გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** თქვა, მატჩი მესამე ადგილისთვის ოდნავადაც არ მაინტერესებსო. ამით მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ბუნდესგუნდის მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობა იყო და რომ მესამე ადგილისთვის ბრძოლა მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის განსაკუთრებული მოტივაცია ვერ იქნება. მართალია, მეორე დღეს მოლბა და თქვა, ის ცხელ გულზე გაკეთებული განცხადება იყო და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მესამე ადგილი დავიკავოთო, მაგრამ პირველი ნათქვამი მეხსიერებაში ყველას უფრო ჩარჩა. ლამმა ფაქტობრივად მთელი ბუნდესგუნდის განწყობა გამოხატა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრებს მესამე ადგილის დაკავება არ უნდა. პირიქით, ბუნდესგუნდი მართლაც ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ბრინჯაოს მედლები ზედიზედ მეორედ დაისაკუთროს - ესეც საქმეა.

გუშინ, ბუნდესგუნდმა სამხრეთ აფრიკაში უკანასკნელად ივარჯიშა, რადგან დღეს თამაშია, ხვალ კი, გერმანელი ფეხბურთელები სამშობლოში დაბრუნდებიან, რის შემდეგაც შვებულებაში გავლენ. ბოლო ვარჯიშს მთავარი გმირი, გუნდის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** აკლდა, რომელსაც გრიპი აქვს. ლიოვის ნაცვლად, გუნდი მისმა ასისტენტმა **ჰანსი ფლიკმა** ავარჯიშა. მაგრამ ბუნდესგუნდს მარტო მწვრთნელი არ გამოკლებია. გუშინ ვარჯიში ვერც ფილიპ ლამმა, **ლუკას პოდოლსკიმ, მიროსლავ კლოზემ** და **ტიმ ვიზემ** შეძლეს. ლამს და პოდოლსკის, ლიოვის დარად, გრიპი აქვთ. კლოზემ კი მხოლოდ ოცი წუთი ირბინა, რადგან ზურგის ტკივილმა შეაწუხა. რაც შეეხება ვიზეს: „ვერდერის" მეკარეს მუხლის ტრავმა აწუხებს. ვიზე ვერ ითამაშებს და ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო, არ ათამაშებდნენ. ლამი, პოდოლსკი და კლოზე კი მოედანზე აუცილებლად გავლენო, განაცხადა გუშინ ფლიკმა. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვანი კლოზეს თამაშია, რადგან მას შანსი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს, რისთვისაც ორი გოლი სჭირდება ან მინიმუმ **რონალდოს** დაეწიოს, რისთვისაც ერთი გოლიც ეყოფა. ამასთან, კლოზე ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირობაზეც ოცნებობს.

მიროს თითოეული თანაგუნდელი მაქსიმალურ მხარდაჭერას ჰპირდება იმისათვის, რომ მან ორი გოლი გაიტანოს და მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. ფეხბურთელების თქმით, ისინი დღეს კლოზესთვის ითამაშებენ.

გუშინ გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ლიოვის ბუნდესგუნდში დარჩენა და გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვეტილია. ეს ცნობა „ბილდმა" გაავრცელა, მაგრამ ნაშუადღევს ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** პრესკონფერენცია გამართა და თქვა, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ბირჰოფის განცხადებით, იოგი მომავალზე მხოლოდ მუნდიალის დასრულების შემდეგ დაფიქრდება, გადაწყვეტილება კი ერთ-ორ კვირაში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება ურუგვაის ნაკრებს: **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** გუნდში დღეს შეიძლება, კაპიტანი **დიეგო ლუგანო** ვერ ვიხილოთ, რომელსაც ტრავმა აწუხებს. მასთან ერთად, ექიმები ვიცე-კაპიტანს და გუნდის ლიდერ **დიეგო ფორლანსაც** თავს ევლებიან, რადგან ეს უკანასკნელიც დაშავებულია. სამაგიეროდ, ტაბარესს მცველი **ხორხე ფუსილე** და თავდამსხმელი **ლუის სუარესი** უბრუნდებიან, რომლებმაც ნახევარფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს. ფორლანი ალბათ მაინც ითამაშებსო, აცხადებენ ურუგვაის ნაკრების ექიმები. აი, ლუგანოს ასპარეზობა კი უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ტაბარესს იმედი აქვს, რომ დღეს საღამომდე მისი კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი ფეხზე დადგებიან, რადგან ურუგვაის ნაკრებს ძალიან უნდა მესამე ადგილის დაკავება. ლუგანოსა და ფორლანის გარეშე კი, გერმანიის ნაკრების დამარცხება ფაქტობრივად უტოპიაა. სამაგიეროდ, ნამდვილად ვერ ითამაშებს **ლოდეირო**.

„მეოთხე ადგილის დაკავებას წარუმატებლობად ჩავთვლით. გერმანიასთან ისე უნდა ვითამაშოთ, თითქოს ეს მუნდიალის ფინალია. მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ ბრინჯაოს მედლები გვინდა," - აცხადებს ფორლანი. მას **სებასტიან აბრეუც** ეთანხმება, რომელიც ამბობს, რომ სულერთი ნამდვილად არ არის, ურუგვაი მესამე ადგილზე გავა, თუ მეოთხეზე: „ცხადია, ჩვენ იმედგაცრუებულები ვართ იმის გამო, რომ ფინალში გასვლა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მუნდიალის წინ ვინმეს რომ ეთქვა, მესამე ადგილისთვის მატჩში იასპარეზებთო, ყველანი ბედნიერები ვიქნებოდით."

ურუგვაის ნაკრები დღეს სამხრეთამერიკული ფეხბურთის პრესტიჟის დასაცავადაც იბრძოლებს. წელს მუნდიალის ნახევარფინალში მხოლოდ ერთი სამხრეთამერიკული გუნდი გავიდა და ისიც დამარცხდა, 2006 წლის მუნდიალზე კი, ნახევარფინალი მთლიანად ევროპული იყო...

**გოტფრიდ ლენცი**



დიეგო ფორლანისა და დიეგო ლუგანოს თამაში საეჭვოა

მუნდიალი და მსაჯობა




## ფიფა ცვლილებებზე თანახმაა

ფიფამ განაცხადა, რომ მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატი - რომელიც ხვალ მთავრდება - ბოლოა, რომელსაც მსაჯობის ძველებური სისტემით ემსახურებიან. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გენერალური მდივანი **ჯერომ ვალკემ** BBC-ზე გამოსვლისას გერმანიისა და ინგლისის ნაკრებთა მერვედფინალური შეხვედრის დღეს ორგანიზატორთათვის „ცუდი დღე" უნოდა - ამ დროს ინგლისური ტელეკომპანიის ეკრანზე ტრიალებდა კადრი, როგორ გაიტანა **ფრენკ ლემპარდმა** გერმანელების კარში აშკარა გოლი, რომელიც მსაჯებმა არ ჩათვალეს. ვალკეს თქმით, ცვლილებები 2014 წლისთვის არის მოსალოდნელი: „ახალ ტექნოლოგიებზე ლაპარაკი სწორედ იმიტომ დავიწყეთ, რომ სამხრეთ აფრიკაში გავიდა გოლი, რომელიც მსაჯმა ვერ დაინახა".

შემდეგ გენერალურმა მდივანმა დასძინა, რომ კარებს უკან დამატებით მსაჯთა დაყენებამაც უნდა გვაჩვენოს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოგეხსენებათ, ეს ხერხი უეფამ გასულ სეზონში ევროლიგის შეხვედრებში გამოსცადა, ხოლო მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში უპირებს შემოწმებას.

„ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ეს სისტემა, რას მოუტანს მსაჯობას დამატებითი ოთხი თვალი. შესაძლოა კარსუკანა ასისტენტებმა არბიტრებს პრობლემები მოუხსნან კიდეც. ყოველ შემთხვევაში ერთს ვიტყვი - ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლოა, რომელსაც ძველი სამსაჯო ხერხებით მოვემსახურეთ".

თუმცა ჯერომ ვალკეს სიტყვები სხვადასხვანაირად შეიძლება გაიგონ. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის წესებს ადგენს, პატრონობს და ცვლის საგანგებო გაერთიანება - ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭო, რომელმაც ტექნოლოგიათა დანერგვაზე სულ ახლახან, გასულ გაზაფხულზე იმსჯელა და მარტში დაადგინა, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს. ვალკეს სურს, საფეხბურთო სამყარომ მსაჯობას მთლიანად გადახედოს და ახალი პრინციპები და ფილოსოფია შეიმუშაოს.

„ფეხბურთი იცვლება. გუნდები და ფეხბურთელები სულ უფრო და უფრო ღონიერები და სწრაფები ხდებიან. თანამედროვე ფეხბურთი სხვანაირია, მსაჯები კი ძველებურად სჯიან. ბურთი უკვე დიდი სისწრაფით დაფრინავს. მოთამაშეები ძველი დროის ხალხთან შედარებით გაცილებით სწრაფად დარბიან. მოკლედ არბიტრებს დახმარება სჭირდებათ".

აქ შეუძლებელია, არ გავიხსენოთ, რომ ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** კარგა ხანია ჯიუტად უარობს ტექნოლოგიების დანერგვას, რადგან მიაჩნია, რომ ფეხბურთში ადამიანური ელემენტი (მათ შორის შეცდომაც) დომინანტად უნდა დარჩეს. მაგრამ, საბედისწერო როლი მერვედფინალების დღემ ითამაშა, როცა ლემპარდის არჩათვლილ გოლს საღამოს, არგენტინისა და მექსიკის ნაკრებთა შეხვედრაში **კარლოს ტევესის** მიერ თამაშგარიდან გატანილი გოლი მოჰყვა. მსაჯებმა ვერც აქ შენიშნეს დარღვევა. და სწორედ ამ დღის შემდეგ შეიცვალა ბლატერის დამოკიდებულებაც. ახლა უკვე ცნობილია, რომ 21 ივლისს გაიმართება ზემოხსენებული საბჭოს (ფიფას გარდა, მასში შედის ოთხი ბრიტანული ქვეყნის ასოციაცია) სხდომა და ამ სხდომაზე სწორედ კარის ხაზის ტექნოლოგიათა საკითხებს განიხილავენ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ წინა სხდომა ამ საბჭოს მარტში ჰქონდა და მაშინ მას ორმა ფირმამ წარუდგინა თავისი შემუშავებული აპარატურა. ამ აპარატურათა შორის განსხვავება ისაა, რომ „კაიროს გოლ-ლაინის" ტექნოლოგია ბურთში ჩიპის ჩამონტაჟებაზეა დამყარებული, რომელიც მოედნის კიდეებზე გავლებული მაგნიტური ხაზის გადაკვეთისას სიგნალს გამოიმუშავებს, მეორე კი „ქორის თვალია" რომელიც კარის ხაზის სიახლოვეს დამონტაჟებულ ექვს სატელევიზიო კამერას ეყრდნობა. „კაიროს" სისტემა ფიფამ 2007 წელს იაპონიაში, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე გამოსცადა...

**ილია ბაბუნაშვილი**

ფინალის წინ

# ძლიერი ძლიერთა ბანაკიდან

**ვესლი სნეიდერმა** განაცხადა, რომ მილანის „ინტერში" თავს საუცხოოდ გრძნობს და „მანჩესტერ იუნაიტედის" არანაირ წინადადებას არ დათანხმდება. არადა, შეგახსენებთ - „იუნაიტედმა" „ინტერს" მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის სანაცვლოდ 29 მილიონი ფუნტი (თითქმის 35 მილიონი ევრო) შესთავაზა და ეს ამბავი თავად ინტერის პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმაც** დაადასტურა. სხვათა შორის, მორატის თავის პირველ კომენტარებში სნეიდერის გაყიდვაზე კატეგორიული უარი არ უთქვამს - ბიზნესმენი კაცია და, როგორც ჩანს, სარფს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა, „ინტერის" პრეზიდენტმა ისიც თქვა, შემტევ ნახევარმცველს თავადაც შევთავაზებ კონტრაქტის გაგრძელებასო.

>> მე-4 გვერდზე



ვესლი სნეიდერი საცოლესთან, იოლანტე კაბაუ ვან კასბერგენთან ერთად

გერმანიის ნაკრები



მუნდიალზე ბუნდესგუნდის კარი წესით რენე ადლერს უნდა დაეცვა

# ადლერი: პირველი მეკარე აღარ ვარ!

წესით, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარი „ლევერკუზენის" მეკარე **რენე ადლერს** უნდა დაეცვა. მუნდიალის დაწყებამდე თვენახევრით ადრე, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკაში გერმანიის პირველი ნომერი ადლერი იქნებოდა. მაგრამ ახალგაზრდა მეკარეს ბედმა უმტყუნა, მუნდიალის დაწყებამდე სამი კვირით ადრე მძიმედ დაშავდა და ლიოვი იძულებული გახდა, კარში მისი კონკურენტი **მანუელ ნოიერი** ჩაეყენებინა. „შალკეს" კიპერმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც, ადლერი აღიარებს, რომ ახლა ის უკვე მეორე მეკარეა.

„მანუელმა ყველა მატჩში შესანიშნავად იასპარეზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა პირველი მეკარე სწორედ ის არის და მე რომ გამოვჯანმრთელდები, პირველობის დაბრუნებისთვის დიდი ბრძოლა მომიწევს. ამის აღიარება არ მიჭირს და ახლა რომ ვთქვა, პირველი მე ვარ-მეთქი, ეს დიდი სისულელე იქნება, - განუცხადა ადლერმა „ბილდს", - ყველა ხედავს, რომ ნოიერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად იასპარეზა. შესაბამისად, მას მეც პატივი უნდა ვცე და ვცემ კიდეც. ნამდვილად არ ვიტყვი იმას, რომ მანუელს ბრძოლას ვუცხადებ. ის ჩემი მეგობარია. უბრალოდ, შევეცდები, ცდა არ დავაკლო და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ოდესმე პირველი მეკარის სტატუსი დავიბრუნო."

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არბიტრი



# როზერტო როზეტის კარიერა დასრულდა

პიერლუიჯი კოლინას პენსიაზე გასვლის შემდეგ, რობერტო როზეტი გახლდათ ყველაზე ცნობილი იტალიელი მსაჯი და ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი ევროპული მასშტაბით. წარსულში იმად ვსაუბრობთ, რომ გუშინ მან კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება და „სასტვენი ლურსმანზე ჩამოკიდა". როზეტი წლების განმავლობაში სჯიდა უმაღლესი რანგის შეხვედრებს საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე. მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ის სკანდალშიც კი გაეხვა, როდესაც არგენტინა-მექსიკის მერვედფინალურ პაექრობაში, დიეგო მარადონას შეგირდებს წესების დარღვევით გატანილი გოლი ჩაუთვალა. გახსოვთ ალბათ, თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა კარლოს ტევესმა გადაგზავნა ბურთი მექსიკელთა კარში, რაც პრაქტიკულად ყველამ დაინახა, გარდა ლაინსმენისა. თუმცა ასეთ ეპიზოდებში პასუხისმგებლობა მთავარ მსაჯზეც ნაწილდება და შესაძლოა, ესეც გახდა როზეტის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მართალია, ამას არ ალიარებს, მაგრამ ვინ იცის, მის გულში რა ხდება. რობერტო 43 წლის გახლავთ და კიდევ ორი წელი შეეძლო კარიერის გაგრძელება, მაგრამ არ ისურვა.

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, როზეტი სერია B-ს მსაჯთა კურატორი იქნება და სამომავლოდ, საქმიანობას ამ კუთხით გააგრძელებს. რობერტო ჟურნალისტთან საუბარში შემდეგ კომენტარს აკეთებს: „არასდროს დამავიწყდება ის წლები, რომელიც უკან მოვიტოვე. ეს იყო საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და მეც ეს გადაწყვეტილება მივიღე. კიდევ ორი წელი შემეძლო მემსაჯა, მაგრამ ვგრძნობ, რომ დროა სხვა საქმით დავკავდე. თუმცა, მე ფეხბურთში ვრჩები, რადგან სხვაგან თავი ვერ წარმომიდგენია".

როზეტის პირდაპირ ჰკითხეს, მიიღო თუ არა ეს გადაწყვეტილება არგენტინა-მექსიკის პაექრობაში დაშვებული შეცდომის გამო? - აქვე, მისი პასუხი: „შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მათ შორის არც მსაჯი. თუ დამიჯერებთ, ახალგაზრდობის წლებში გაცილებით მეტ შეცდომას ვუშვებდი, ვიდრე ბოლო პერიოდში. არბიტრისთვის მთავარი გამოცდილებაა და ამაში ნებისმიერი ჩემი კოლეგა დამეთანხმება. ამ მხრივ, არავითარი პრობლემა არ მქონდა, კიდევ შემეძლო მემუშავა, მაგრამ მოტივაცია დავკარგე და ამ გადაწყვეტილების საფუძველიც ეს გახლავთ„.

როგორც ჩანს, როზეტის იმის იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს იმსაჯებდა და რადგან, ეს პატივი ჰოვარდ ვებს ერგო, იტალიელმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. საკლუბო დონეზე მან ყველა სიმაღლე დაიპყრო, ამასთან, იმსაჯა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი.

**ლაშა წიკლაური**

ფინალის წინ

# ძლიერი ძლიერთა ბანაკიდან

« მე-3 გვერდიდან

სნეიდერი, რომელიც ხვალ შესაძლოა გახდეს იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელთაგან პირველი, ვინც საკლუბო დონეზე მოპოვებულ ტრებლს (ქვეყნის ჩემპიონობა, თასი და ჩემპიონთა ლიგა) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც დაამატებს, ამბობს, რომ „შავ-ლურჯებთან" სურს კონტრაქტის გაგრძელება. მას, როგორც ჩანს, ცხოვრება სხვანაირად აქვს დაგეგმილი: ივლისში თავის მოდელ და ტელევარსკვლავ საცოლესთან იოლანტე კაბაუ ვან კასბერგენთან დაოჯახებასაც აპირებს და თაფლობის თვის შემდეგ მორატისთან მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდება.

„ინტერში თავს საუცხოოდ ვგრძნობ და ამიტომაც არ მინდა იმ კაცად გამოვჩნდე, რომელიც თავის გუნდს ყველაფრის მოგების შემდეგ მიატოვებს, რადგან ჟოზე მოურინიო წავიდა და შეშინდა. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ახალ სეზონში ახალ მწვრთნელთან, რაფა ბენიტესთან ერთად კვლავ წარმატებებს მივაღწიო. რომ გითხრათ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ინტერესმა გამაკვირვაო, მართალი არ ვიქნები, რადგან კარგად ვთამაშობ და, ბუნებრივია, ინტერესი იქნებოდა, მაგრამ მირჩევნია კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მაინც „ინტერს" ველაპარაკო".

თუმცა არც სნეიდერისთვის და არც სხვა ჰოლანდიელებისთვის საკლუბო საქმეები ახლა უმთავრესი არ არის - ხვალ ხომ მუნდიალის ფინალია: ნიდერლანდელთა გუნდი ესპანეთს ხვდება. როგორც სამხრეთ აფრიკაში მივლინებული ჟურნალისტები ამბობენ, ჰოლანდიის ნაკრების ბაზაზე სიმშვიდე და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა იგრძნობა. „ლივერპულის" გარემარბმა დირკ კუიტმა თქვა:

„შიშის ნატამალიც კი არ გვაქვს. შიშის ნახვა თუ გინდოდათ, ნახევარფინალისთვის უნდა გეყურებინათ. იქ ნახავდით როგორ ეშინოდათ გერმანელებს ესპანელების. შეტევაც კი არ სცადეს. ჩვენ შეტევას ვაპირებთ და ნახავთ, ესპანეთის რამდენი სუსტი მხარე გამოჩნდება. ჩვენს გუნდში შეშინებული ფეხბურთელები არ თამაშობენ. ჩვენთან არ არიან ფეხბურთელები, რომლებიც ვინმეს წინაშე თავს პატარა გუნდად მიიჩნევენ. მეტოქეს პატივს ვცემთ, კი ბატონო, მაგრამ შიში..."

**ილია ბაბუნაშვილი**

ლელოელები თანავუგრძნობთ კოლეგას ბიძინა ბარათაშვილს მამის გარდაცვალების გამო

ამბები

## პრეზიდენტი ნაკრებით ამაყობს

ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების სამუნდიალო ასპარეზობით აღფრთოვანებულია.

„ჩვენმა გუნდმა მთელი ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ჰოლანდიის წინააღმდეგაც ღირსეულად ითამაშა. ფინალში გასვლის შანსიც გვქონდა, მაგრამ იღბალი დაგვაკლდა. ურუგვაის ნაკრებით უსაზღვროდ ვამაყობ, ჩვენმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშეს", - აცხადებს პრეზიდენტი.

## ბრაზილია 2014: არის ლოგო!

ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულა და სილვამ იოჰანესბურგში ოფიციალურად წარადგინა მომდევნო მუნდიალის ლოგოტიპი. უკვე ზედმეტია იმის შეხსენება, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატს სწორედ ბრაზილია უმასპინძლებს.




ნახატზე გამოსახულია მწვანე და ყვითელი ფერის ხელები, რომლებიც მსოფლიოს თასის სილუეტს ქმნიან. „ლოგოტიპი განასახიერებს ბრაზილიელი ხალხის ტალანტსა და შრომისმოყვარეობას", - ამბობს პრეზიდენტი.

## ლამი: ნახევარფინალში კიდევ ვითამაშებ!

გერმანიის ნაკრების კაპიტანი ფილიპ ლამი იმედს გამოთქვამს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშისა და ფინალში გასვლისთვის ბრძოლის შანსი მომავალ მუნდიალზეც მიეცემა.

„ჯერ მხოლოდ 26 წლის ვარ და წინ კარიერის კიდევ არაერთი წელიწადი მაქვს. ვიმედოვნებ, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაში კიდევ მომიწევს. რაღა თქმა უნდა, ესპანეთთან განცდილი მარცხი ყოველთვის მწარედ გამახსენდება. მუნდიალის ნახევარფინალამდე მისვლა უკვე დიდი მიღწევაა, მაგრამ ძალიან გულსატკენია, როცა ფინალამდე ერთი ნაბიჯი გაკლდება. შემდეგ ჩემპიონატზე ჩემი მიზანი ფინალში გასვლა და იქ გამარჯვება იქნება. მიმდინარე მუნდიალს კი ჩემი აზრით, ესპანეთი მოიგებს. თუ ასე არ მოხდა, ძალიან გამეხარდება, რადგან მსოფლიო ჩემპიონები ჩემი თანაგუნდელები, მარკ ვან ბომელი და არიენ რობენი გახდებიან. მათი ჩემპიონობა „ბაიერნის" თამაშზეც დადებით ზეგავლენას მოახდენს", - ამბობს ლამი.

## ესპანეთის ნაკრები ფეხბურთის რეკლამაა

ლეგენდარული იოჰან კრუიფი ესპანეთის ნაკრების თამაშით აღფრთოვანებულია. „გერმანიის ნაკრებს ბევრი ძლიერი გუნდის დამარცხება შეუძლია, მაგრამ არამც და არამც - ესპანეთის. ესპანეთის ნაკრები „ბარსელონას" ასლია და ფეხბურთის ნამდვილი და საუკეთესო რეკლამაა. დარწმუნებული ვარ, ჰოლანდიელებს ფინალში გერმანელების წინააღმდეგ თამაში ერჩივნათ", - ამბობს კრუიფი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კომპეტენტური აზრი

## ბორა მილუტინოვიჩი

# განელებმა დაამტკიცეს, რომ აფრიკულ ფეხბურთს მომავალი აქვს

### მილუტინოვიჩი ჩემპიონობას ჰოლანდიას უწინასწარმეტყველებს

თუ რომელიმე მწვრთნელზე შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჭიპი აქვს მოჭრილიო, ეს უპირველესად, ბორა მილუტინოვიჩია. ცნობილ სერბ სპეციალისტს ხომ ხუთ მუნდიალზე ხუთი სხვადასხვა ნაკრები გაუწვრთნია (მექსიკა 1986 წელს, კოსტა რიკა 1990 წელს, აშშ 1994 წელს, ნიგერია 1998 წელს და ჩინეთი 2002 წელს). დღეისთვის იგი ერაყის ეროვნულ ნაკრებში მოღვაწეობს.

ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა მილუტინოვიჩს საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ბრაზილიის, არგენტინის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებების მიერ განცდილი კრახი თქვენთვის მოსალოდნელი იყო?**

- ყველაფერს თავისი ახსნა აქვს. ჩემი აზრით, იტალიასა და საფრანგეთს წარმატების მიღწევაში თაობათა ცვლის პროცესი. ოთხი წლის წინ ლიპიმ ბრწყინვალე ნაკრები ჩამოაყალიბა, ახლა კი ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო ეს ველარ შეძლო. დარწმუნებული ვარ, იტალიელები ამ წარუმატებლობისგან საჭირო დასკვნებს გამოიტანენ. ბრაზილიასა და არგენტინას კი მეტოქეებმა მეოთხედფინალში უბრალოდ აჯობეს.

**- ნიგერიის ნაკრებში გიმუშავიათ და აფრიკულ ფეხბურთს კარგად იცნობთ. როგორი პერსპექტივა აქვთ შავი კონტინენტის წარმომადგენლებს?**

- ნიგერიულ ფეხბურთს დიდი პერსპექტივა აქვს, რაც 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ამ ქვეყნის ნაკრების მიერ მოპოვებულმა ვერცხლის მედლებმაც დაამტკიცა. თუმცა ვერც ნიგერიამ და ვერც სხვა აფრიკულმა ნაკრებებმა სტაბილურობას ვერ მიაღწიეს. ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება ხომ რთული და ხანგრძლივი პროცესია. სასიამოვნო გამონაკლისი აღმოჩნდა განის ნაკრები. მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ და ამ გუნდის სერბმა მწვრთნელმა მილოვან რაევაცმა უდიდესი საქმე გააკეთა. მან თამამი ნაბიჯები გადადგა და ეროვნულ ნაკრებში ის ახალგაზრდები დაანინაურა, რომლებმაც შარშან მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგეს. განელებმა დაამტკიცეს, რომ აფრიკულ ფეხბურთს მომავალი აქვს.

**- რატომ ვერ ახერხებს მექსიკა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალამდე მიღწევას?**

- ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა არ შემიძლია. მექსიკას ყოველთვის ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ სამწუხაროდ, მუნდიალის მერვედფინალური ეტაპი ჯერ არასდროს გადაულახავს. ეს უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება. მექსიკელი ახალგაზრდები, დოს სანტოსი, ერნანდესი, ველა და სხვები თავის სათქმელს უთუოდ იტყვიან.

**- სამხრეთაფრიკული მუნდიალიდან რომელი ფეხბურთელები მოგეწონათ?**

- ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დიეგო ფორლანმა მოახდინა. მის გარდა, არიენ რობენს, ვესლი სნეიდერს, მარკ ვან ბომელს, მესუთ იოზილსა და თომას მიულერს გამოვარჩევდი.

**- ლიონელ მესიზე რას იტყოდით?**

- როცა ნიგერიასთან სასტარტო მატჩში მისი თამაში ვნახე, მეგონა, რომ ეს მესის ჩემპიონატი გახდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მთლიანობაში, მას ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ ისე ვერ იკაშკაშა, როგორც ველოდი.

**- დაბოლოს, ვის დარჩება ტიტული 11 ივლისს?**

- ვფიქრობ, ჰოლანდიას. რაღა თქმა უნდა, ესპანეთსაც ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებმა ბრაზილიასა და ურუგვაისთან საჩემპიონო ფეხბურთი ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ლოთარ მათეუსი (მარცხნივ) და ბორა მილუტინოვიჩი

ბაიერნი



თომას მიულერი

# ბევრი ფული მიულერს!

მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **თომას მიულერი** მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად ასპარეზობს და გერმანელი ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ესპანეთთან დისკვალიფიცირებული რომ არ ყოფილიყო, დიდი შანსია, ბუნდესგუნდი ფინალში გვეხილა. მიულერისგან ასეთ კარგ თამაშს ბევრი არ ელოდა. ფაქტია, რომ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, თომასს მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელებენ.

ჩვენი გერმანელი კოლეგები კი იუწყებიან, რომ თომასს კარგ თამაშს „ბაიერნშიც" დაუფასებენ. ჟურნალ „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, რეკორდმაისტერი თომასს ხელფასს მნიშვნელოვნად გაუზრდის. მისი ჯამაგირი აქამდე წელიწადში თითქმის 2 მილიონ ევროს შეადგენდა. სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნებულ მიულერს მიუნხენში ახალ კონტრაქტს დაახვედრებენ, სადაც ყველა პირობა იგივე იქნება, გარდა ხელფასისა, რომელსაც 2.5 მილიონამდე გაუზრდიან. გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, „ბაიერნმა" თომასს 2.5 მილიონზე მეტიც კი დაუნიშნოს.

„მიუნხენის „ბაიერნი" არის გუნდი, რომელიც ყოველთვის აფასებდა გამორჩეულ ფეხბურთელებს. ეს გუნდი თავის ერთგულ და წარმატებულ მოთამაშეებს ყოველთვის იდეალურ პირობებს უქმნიდა. ტრადიცია გრძელდება: მიულერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გრანდიოზულად იასპარეზა და ამას ჩვენც დავუფასებთ," - განუცხადა „შპორტ ბილდს" „ბაიერნის" მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა**.

„ბილდი" კი ირწმუნება, რომ თომას მიულერს მთხოვნელების რიგი დაუდგა, „ბაიერნის" ხელმძღვანელები შიშობენ, რომ უნიჭიერეს ფეხბურთელს დაკარგავენ და ხელფასს ამიტომაც უზრდიან. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიულერს ერთ-ერთი ინგლისური გრანდი ეპატიჟება. ცნობილია, რომ თომასს მიუნხენში დარჩენა უნდა.

**გოტფრიდ ლენცი**

კომპეტენტური აზრი

# მოჯი მაროტას მისდგა

**ლუჩანო მოჯი** არ ცხრება და კვლავაც „იუვენტუსის" მესვეურთა კრიტიკით არის დაკავებული. სინიორ კალჩოპოლი უკვე წლებია, რაც უკმაყოფილებას გამოთქვამს „იუვეს" სატრანსფერო პოლიტიკით და აცხადებს, ასეთი გუნდით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა წარმოუდგენელიაო. პრინციპში, თუ ბოლო წლების შედეგებს გადავხედავთ, ასეც გახლავთ. გუშინ, მოჯი ჟურნალისტთა წინაშე წასდგა და შემდეგი განაცხადა:

*„ლუიჯი დელ ნერის და ჯუზეპე მაროტას „იუვენტუსში" მისვლას სიხარულით შევხვდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით იმედგაცრუებული ვარ. ისინი აგრძელებენ იმ სატრანსფერო პოლიტიკას, რომელმაც „ბიანკონერი" ღრმა კრიზისში ჩააგდო. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე ხდება, რადგან „იუვეს" ჩემს გულში დიდი ადგილი უკავია. ჩამოვთვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც მაროტამ გადაიბირა და ჩემ მიერ ნათქვამში ყველანი დარწმუნდებით - ხორხე მარტინესი ნამდვილად არ არის იმ კალიბრის ფეხბურთელი, რომ სკუდეტოსთვის მებრძოლ გუნდში იასპარეზოს. იმავეს ვიტყოდი სიმონე პეპესა და მარკო სტორარიზე. ერთადერთი ტრანსფერი, რომელიც მომეწონა, სულ რამდენიმე დღის წინ განახორციელეს, როდესაც „ბარიდან" ლეონარდო ბონუჩი გადაიბირეს. ძალიან ნიჭიერი მცველია და შეუძლია გუნდის სიმბოლოც კი გახდეს. ურიგო არ იქნებოდა მილოშ კრასიჩი რომ შეეძინათ, მაგრამ ის პაველ ნედვედი ნამდვილად არ არის, როგორც ამას ხშირად ამბობენ. რას უნდა ველოდოთ მომავალ სეზონში? - თუ მაროტამ ასე გააგრძელა და მარტინესის კალიბრის ფეხბურთელები იყიდა, კარგს არაფერს. დელ ნერი ძლიერი სპეციალისტია და შესაძლოა, „იუვე" ოთხეულში მოხვდეს, მაგრამ ჩემპიონობაზე საუბარიც კი ზედმეტია".*

**ლაშა ნიკლაური**



ლუჩანო მოჯი

იუვენტუსი



რაფაელ მარკესი

# მარკესი ტურინში?
## ...კამორანეზი კი ოლიმპიაკოსს მოურიგდა

პორტუგალიური „ა ბოლას" ცნობით, დიდია იმის ალბათობა, რომ **რაფაელ მარკესმა** მომავალი სეზონი „იუვენტუსში" დაიწყოს. გასულ სეზონში მექსიკელი უნივერსალი „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. სეზონის დასრულების შემდეგ მარკესი **პეპ გვარდიოლას** ესაუბრა, რომლისგანაც ინტენსიური სათამაშო პრაქტიკის გარანტიები ვერ მიიღო.

31 წლის მარკესს „ბარსასთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს დარჩენილი, მაგრამ კლუბის შეცვლა თავადაც სურს და არც კატალონიელები აფარხებენ. „იუვენტუსის" გარდა, მისი შეძენა „ვილიარეალს", „ჯენოასა" და „გალათასარაის" სურთ.

მარკესმა „ბარსელონაში" შვიდი სეზონი ჩაატარა. ამ დროის განმავლობაში მან კატალონიელთა მაისურით 237 მატჩი გამართა და 23 გოლი გაიტანა.

ამასობაში კი, „იუვენტუსის" ნახევარმცველი **მაურო კამორანეზი** ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გადასვლასთანაა ახლოს. პირეოსელებმა იტალო-არგენტინელთან უკვე შეათანხმეს კონტრაქტის დეტალები და „იუვენტუსსაც" მოურიგდა. კამორანეზის სანაცვლოდ „ოლიმპიაკოსი" 3 მილიონ ევროს გადაიხდის, კონტრაქტი კი ფეხბურთელის სამედიცინო გამოკვლევის დასრულებისთანავე გაფორმდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მილანი

# პატუ და რონალდინიო რჩებიან
## გალიანი იბრაჰიმოვიჩს უმიზნებს

ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ზაფხულს „მილანის" მესვეურებს გაძლიერებაზე მეტად, შემადგენლობის შენარჩუნებაზე მოუწევთ ზრუნვა. იტალიურ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ **ალექსანდრე პატუს** გადაბირება კვლავაც სურთ ლონდონის „ჩელსის" და მადრიდის „რეალს". ხსენებულ გუნდებს არაერთხელ მოეცარათ ხელი პატუს ტრანსფერზე მუშაობისას, თუმცა თავისას მაინც არ იშლიან და როგორც ჩანს, ბედს ამ ზაფხულსაც ცდიან. ეგ არის, რომ თავად პატუს მილანიდან აბარგების არავითარი სურვილი არ აქვს. აი, რას ამბობს ალექსანდრე:

*„გაზეთებს უკვე აღარც ვკითხულობ, რადგან უამრავი სისულელე იწერება. „მილანთან" 2014 წლამდე მაკავშირებს ხელშეკრულება და მის გაწყვეტას არ ვაპირებ. „რეალი" უკვე დიდი ხანია ჩემს მიმართ ინტერესს გამოხატავს, კონკრეტული წინადადებითაც მომმართეს, მაგრამ არც კი განმიხილავს. ვუთხარი მადრიდელებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ „როსონერის", თუ თვითონ კლუბი მოისურვებს ჩემს გაშვებას. ამიტომ, ნებისმიერი კლუბის მესვეურებს ვურჩევდი, რომ ჩემთან საუბარში დრო არ დაკარგონ".*

პატუს მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრაზილიის ასპარეზობასა და სანაკრებო პერსპექტივებზეც მოუხდა ლაპარაკი: *„მუნდიალი განსაკუთრებული მოვლენაა, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ ჩემპიონატით აღფრთოვანებული არ ვარ. მხოლოდ რამდენიმე თამაში იყო, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს, თამაშის ხარისხი ნორმალური იყო, თუმცა შედეგი ძალიან ცუდი. შესაძლოა, სხვა ნებისმიერი ნაკრებისთვის მეოთხედფინალი წარმატებაა, მაგრამ არა ბრაზილიისთვის. ჰოლანდიასთან მარცხის მიზეზი? - ჩემთვის დღემდე აუხსნელია, რატომ გამოიყვანა წყობიდან მთელი გუნდი ფელიპე მელოს ავტოგოლმა. ანგარიში მხოლოდ 1:1 გახდა და თამაშის მშვიდად გაგრძელება იყო საჭირო, დუნგას შეგირდები კი რატომღაც აირივნენ და ბევრი შეცდომა დაუშვეს. როდესაც ანგარიში საყაიმო იყო, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჰოლანდიელები იგებდნენ და თამაშს მშვიდად აკონტროლებდნენ. ვფიქრობ, რომ აქ მწვრთნელმა დაუშვა შეცდომა, სწორედ მას უნდა დაემშვიდებინა გუნდი, რასაც ვერ გაართვა თავი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ დუნგაზე ნაწყენი ვარ, მისი საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს. ისე კი, იმედი მაქვს, რომ ახალი მწვრთნელი ყურადღებას მომაქცევს და ეროვნულ გუნდში დამაბრუნებს. ამისთვის „მილანში" სტაბილური ასპარეზობაა საჭირო და თავის*

ალექსანდრე პატუ (მარცხნივ) და რონალდინიო



*დაზოგვას ნამდვილად არ ვაპირებ".*

პრესაში იმის შესახებაც იწერება, რომ „მილანის" მესვეურები კვლავაც ვერ მოურიგდნენ **რონალდინიოს** ხელფასის ოდენობასთან დაკავშირებით. ამბობენ, ამის ნიადაგზე სერიოზულ უთანხმოებას აქვს ადგილი და არ არის გამორიცხული, გაუჩომ გუნდი გამოიცვალოსო. „როსონერის" სატრანსფერო კონსულტანტი **ერნესტო ბრონძეტი** ამ ინფორმაციას უარყოფს:

*„რონალდინიოს ინტერესებს მისი ძმა იცავს, რომელთანაც სულ რამდენიმე დღის წინ გვქონდა შეხვედრა. არანაირი უთანხმოება არ გვაქვს და ვერ ვხვდები, საიდან ვრცელდება ასეთი ინფორმაციები. გაუჩოს „მილანში" სურს დარჩენა და 20 ივლისს შეკრებაზე აუცილებლად გამოცხადდება. როგორც მისმა ძმამ მითხრა, საზაფხულო შესვენებისას არც კი დაუსვენია და მუდმივად ვარჯიშობდა. ძალიან უნდა, რომ მომავალი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება".*

კიდევ არაერთ „მილანელზე" ვრცელდება ცნობები სხვა გუნდში გადაბარგებასთან დაკავშირებით, თუმცა ჯერჯერობით არც ერთი ასეთი ინფორმაცია არ დადასტურებულა. აქვე, კიდევ ერთ ამბავზე უნდა ვთქვათ, რომელიც უკვე შესაძლო შენაძენს ეხება. „გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, რომ უახლოეს დღეებში **ადრიანო გალიანი** ბარსელონაში ჩავა, რათა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გადაბირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართოს. **სილვიო ბერლუსკონის** მარჯვენა ხელი „ასუნგრანას" პრეზიდენტს, **სანდრო როსელის** შეხვდება და პირადად მასთან გაარკვევს ყველა საკითხს. ავტორიტეტული გამოცემის ცნობით, გალიანის 35 მილიონი ევრო აქვს გამზადებული და თუ საჭირო გახდა, ამ თანხას კიდევ ერთ ფეხბურთელს, **კლასიან ჰუნტელაარს** დაამატებს. იბრა „ბარსელონაში" ბოლომდე ვერ გაიხსნა და არ არის გამორიცხული, როსელი წინადადებას დათანხმდეს, მაგრამ ჯერ უცნობია, რა პოზიცია აქვს თავად ფეხბურთელს - ზლატანი წლების განმავლობაში ასპარეზობდა „ინტერში" და „მილანში" გადაბარგებით, შეიძლება დიდი პრობლემები შეექმნას. ვნახოთ, უახლოეს დღეებში წესით ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# დიდიეს დიდი ცდუნება

## ქალაქელებმა დროგბას ყიდვა მოიწადინეს

საოცარია, მაგრამ ასეა: „მანჩესტერ სიტიმ" **დიდიე დროგბას** ყიდვა მოიწადინა. ისტლენდელთა მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** დიდი ხანია მისი თაყვანისმცემელია და მის „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" გადაყვანაზე ოცნებობს. გასაგებია, „სიტის" მეპატრონეები არაბი მილიარდერები არიან, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერი ფეხბურთელის შესაძენად საკმარისი თანხა გამოყონ, მაგრამ, მოდი, ნუ დაგვავიწყდება, რომ დროგბას კლუბი არის „ჩელსი" და მისი პატრონი რუსი ოლიგარქი **რომან აბრამოვიჩია**. მთელ ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ როგორც ერთმა საქმეში ჩახედულმა ადამიანმა თქვა, ლონდონიდან მანჩესტერში გადაბარგებას არც თავად 32 წლის თავდამსხმელი გამორიცხავს.

*„ლონდონელებმა უნდა გადაწყვიტონ, სჭირდებათ დროგბა მომავალშიც თუ არა, -* თქვა ხსენებულმა პირმა - *თუ დიდიეს ასაკს გავითვალისწინებთ, „სიტის" წინადადება შესაძლოა ძალიან მაცდურიც კი გამოდგეს".*

როგორც ამბობენ, თუ დიდიე დროგბა ისტლენდზე გადაბარგდება, სამ წელიწადში 18 მილიონ ფუნტს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ კოტდივუარელმა გასულ სეზონში 29 გოლი გაიტანა და პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული, ეგრეთ წოდებული „ოქროს ბუცი" მოიპოვა. გარდა ინდივიდუალური წოდებისა, დროგბამ გუნდური ტიტულებიც მოიგო: ინგლისის ჩემპიონობა და ფეხბურთის ასოციაციის თასი. დროგბას კონტრაქტის თანახმად, მან „სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ორი წელიწადი უნდა გაატაროს. როგორც მიმომხილველები წერენ, იმ შემთხვევაში, თუ თავდამსხმელი „ჩელსიდან" წასვლას მაინც გადაწყვეტს, ლონდონელები „ლივერპულს" მიმართავენ და იქიდან ფერნანდო ტორესის წამოყვანას შეეცდებიან.

იმის დასამტკიცებლად, რომ „სიტის" პატრონებს ფული არ უჭირთ, შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს მათ უკვე იყიდეს სამი ფეხბურთელი: **იაია ტურე** „ბარსელონადან", **დავიდ სილვა** „ვალენსიადან" და **ჟერომ ბოატენგი** „ჰამბურგიდან". ეს სამი ტრანსფერი ისტლენდელებს 60 მილიონი ფუნტი დაუჯდათ, თუმცა ამით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. კერძოდ, მანჩინის „ლაციოდან" სერბი მცველის **ალექსანდრ კოლაროვის** გადაბირება უნდა. რაც შეეხება დროგბას, მასში „სიტი" 20 მილიონი ფუნტის გადახდას ვარაუდობს.

ასეთი ვაჭრობის შემდეგ კი, მანჩინის შეუძლებელია მომავალი სეზონისთვის დიდი გეგმები არ ჰქონდეს დასახული - ოთხეულში შესვლა და რომელიმე ჯილდოს მოპოვება. გახსოვთ, რა იყო გასულ სეზონში? იტალიელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდმა მეხუთე ადგილი მოიპოვა და ლიგის თასზე ნახევარფინალში გავიდა.

*„რასაკვირველია, შემართებული და აღელვებული ვარ, -* უთხრა მანჩინიმ ჟურნალისტებს - *დღესაც კი, როდესაც სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ჯერ ძალიან ადრეა და არ ვიცი, კიდევ ვის დავიმატებთ, ვფიქრობ, რომ დიდებული სეზონი გველის. ვგონებ, ასეთი შემადგენლობა მხოლოდ წარმატებისთვის თუ იბრძოლებს და ჩვენი გულშემატკივარიც დიდი ხანია ჯილდოს იმსახურებს. სხვათა შორის, გასული სეზონიც ძალიან კარგი გვქონდა. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება კვლავ ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ რაც იყო, მაინც ძალიან მომეწონა. ახლა კი უკვე დროა „სიტიმ" დიდების დარბაზში ახალი ჯილდოები გამოფინოს.*

*ხომ ხედავთ, იაია, ბოატენგი და სილვა უკვე დავიმატეთ. სამივე კარგი მოთამაშეა. თან სილვა და ბოატენგი ახალგაზრდები არიან, ასე რომ, ეს კლუბისთვის ინვესტიციაც არის. რაც შეეხება იაიას, გაიხსენეთ, ის ჯილდოები, რომლებიც მან „ბარსელონაში" მოიპოვა და იოლად დაასკვნით, რა გამოცდილების კაცი დაგვემატა. ასეა, თუ გვინდა პრემიერლიგის საუკეთესო გუნდებთან სხვაობა შევამციროთ, უნდა გავძლიერდეთ".*

და კიდევ ერთი საკითხი: მანჩინიმ „სიტის" მთავარი გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ პლატი** დაასახელა.

*„მე და დევიდი ორი წლის განმავლობაში ერთად ვთამაშობდით „სამპდორიაში". ის თავის დროზე ინგლისის ნაკრებს კაპიტნობდა და შემდეგ 21-წლამდელთა გუნდს წვრთნიდა. ვფიქრობ, ასეთი ადამიანი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. თუ ჩვენ ახალი ეპოქის დაწყება და ტიტულების მოგება გვინდა, კლუბში ყველა პოზიცია უნდა გავაძლიეროთ".*

**ილია ბაბუნაშვილი**



შეელევა კარლო ანჩელოტი დიდიე დროგბას?

სეზონის წინ

# სოლი და ჩრდილოელი ცოლი

**სოლ კემპბელი** „სანდერლენდში" გადასვლის პირასაა. 35 წლის ვეტერანი, ინგლისის ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი დიდებულ კარიერას აგრძელებს. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის მეორე ნახევარი კემპბელმა „არსენალში" გაატარა, რის შემდეგაც თავისუფალი გახლავთ. თავიდან კემპბელს „სელტიკში" გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, თუმცა წინადადების გარეშე დიდხანსაც არ დარჩენილა - სანდერლენდელთა მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა** ხელად შესთავაზა მის გუნდში გადასვლა. ბრუსისა და კემპბელის მოლაპარაკებები შესაძლოა გუშინაც კი დამთავრებულიყო. შეგახსენებთ, რომ „სანდერლენდი" გასულ სეზონში პრემიერლიგაში მე-13 ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 200-ათასიანი ქალაქი სანდერლენდი ინგლისის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს, რაც კემპბელს ძალიან გაუადვილებს საცოლესთან, ინტერიერის დიზაინერ **ფიონა ბარატთან** ურთიერთობას - ბარატიც მაგ რეგიონში ცხოვრობს. სხვათა შორის, კემპბელი ჩრდილოეთში გადაბარგებას პირველად არ ცდილობს. გასულ სეზონში, სწორედ მანამდე, სანამ „არსენალის" ვარიანტი გამოჩნდებოდა, „ნოთს ქაუნთიში" გატარებული გაუგებარი მოკლე პერიოდის შემდეგ კემპბელს „ნიუკასლ იუნაიტედში" უნდოდა გადასვლა, მაგრამ „კაჭკაჭებს" დიდი ხელფასი მოსთხოვა და ისინი არ დათანხმდნენ.

რამდენს ითხოვდა კემპბელი „ნიუკასლისგან"? ამას ახლა ვერ გეტყვით, თუმცა შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ „სანდერლენდს" მან კვირაში 40 ათასი ფუნტი მოსთხოვა და გაუმართლა: პრემიერლიგის კლუბმა ალბანელი ფეხბურთელი **ლორიკ კანა** „გალათასარაის" 5,5 მილიონ ფუნტად მიჰყიდა და ფული გამოუჩნდა. გარდა ამისა, „შავ კატებს" 50 წლის ამერიკელი მეპატრონე **ელის შორტი** ძალიან წყალობს, კვლავ აფინანსებს და შესაბამისად, კემპბელის ხელფასისთვის საკმარისი ფულიც გამოიძებნა.

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## პარგრივსი ისევ ლაზარეთშია

არა და არ დაადგა საშველი ოუენ ჰარგრივსის გამოჯანმრთელებას. „მანჩესტერ იუნაიტედის" საყრდენ ნახევარმცველს მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა და მწყობრში ვერც მომავალი სეზონის სტარტს შეხვდება.

*„ჰარგრივსი აშშ-ში ექიმებთან ჩავიდა. ზუსტადაა ცნობილი, რომ იგი ახალი სეზონის საწყის ნაწილს გამოტოვებს, მისი მოედანზე დაბრუნების თარიღი ცნობილი არაა"*, - აცხადებს სერ **ალექს ფერგიუსონი.**

## როსელი ვენგერთან ჩავა

„ბარსელონას" ახლად არჩეული პრეზიდენტი **სანდრო როსელი** სამხრეთ აფრიკაში ჩასვლას აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონატს თავიდანვე ესწრება ლონდონის „არსენალის" მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერიც.** ისინი ერთმანეთს **სესკ ფაბრეგასის** სავარაუდო ტრანსფერის დეტალებზე მოსალაპარაკებლად შეხვდებიან. როსელი ფაბრეგასის სანაცვლოდ 40 მილიონი ევროს შეთავაზებას აპირებს. ბრიტანული პრესის ვარაუდით, ლონდონური კლუბი თავისი კაპიტნის ამ ფასად დათმობას ცოცხალი თავით არ დათანხმდება.

## მარტინსი რუბინელია

ყაზანის „რუბინს" **მიროსლავ კლოზეს** შეძენა არ გამოუვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, მაღალი კლასის ფორვარდი მაინც გადაიბირა – რუსეთის ჩემპიონების ღირსებას **ობაფემი მარტინსი** დაიცავს. ჯერჯერობით უცნობია, რა ხანგრძლივობის კონტრაქტს გააფორმებს „რუბინთან" 25 წლის მარტინსი და რამდენს მიიღებს მის სანაცვლოდ გერმანული „ვოლფსბურგი".

შეგახსენებთ, მარტინსის ევროპული კარიერა მილანის „ინტერში" დაიწყო, სადაც მან 2002-06 წლებში ითამაშა და იტალიური კლუბის მაისურით 39 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ იყო ინგლისურ „ნიუკასლში" გატარებული სამი სეზონი, სადაც მარტინსმა 35 ბურთის გატანა შეძლო. გასულ სეზონში კი მან „ვოლფსბურგის" შემადგენლობაში მხოლოდ 6-ჯერ გამოიჩინა თავი. მარტინსმა **ჯეკოგრაფიტეს** დუეტის შევიწროება ვერ შეძლო.

მიმდინარე მუნდიალზე მან ორჯერ შეცვლაზე ითამაშა და გოლი არ გაუტანია.

## მილანი ოდოს გაუხანგრძლივებს

„მილანი" **მასიმო ოდოსთვის** ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს, რომელიც 2012 წლის ზაფხულამდე იქნება გათვლილი. განვლილი დღეების განმავლობაში 34 წლის მცველთან მოლაპარაკებას კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** აწარმოებდა.

სავარაუდოდ, ოდო შეთავაზებას დათანხმდება და ახალი ხელშეკრულებ[illegible], წელიწადში მილიონნახევარ ევროს მიიღებს. სერია A-ს გასულ გათამაშებაში [illegible] მხოლოდ 14-ჯერ ითამაშა.

## არსენალი პანდანოვიჩით დაინტერესდა

**არსენ ვენგერი** გამალებით ეძებს ახალ მეკარეს. მისი ინტერესების სფეროში მოხვდა იტალიური „უდინეზესა" და სლოვენიის ეროვნული ნაკრების კარის დარაჯი **სამირ ჰანდანოვიჩი.** ლონდონის „არსენალის" მწვრთნელ-მენეჯერი სამხრეთაფრიკულ მუნდიალს თავიდანვე ესწრება და თავისი გუნდის პოტენციურ ახალწვეულებს ინტენსიურად აკვირდება.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას შესთავაზებს „არსენალი" „უდინეზეს" ჰანდანოვიჩის სანაცვლოდ. ამ უკანასკნელმა გასული სეზონის სერია A-ში 37 მატჩი ჩაატარა.

## კუიტი ლივერპულში რჩება



**დირკ კუიტმა** განაცხადა, რომ „ლივერპულიდან" წასვლას არ აპირებს. არადა, იტალიურ პრესაში ხშირად იწერებოდა იმის შესახებ, რომ „ლივერპულიდან" მილანის „ინტერში" გადასულ **რაფა ბენიტესს** ძალიან სურდა თავის ახალ კლუბში ჰოლანდიელი ფორვარდის ხილვა.

*„არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან „ლივერპულში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ამ კლუბთან ერთად ჯერ ერთი ტიტულიც არ მომიგია, მაგრამ ვიმედოვნებ, ამ ხარვეზს მომავალ სეზონში გამოვასწორებ. იმის იმედიც მაქვს, რომ როი ჰოჯსონისთვისაც ისეთივე საჭირო ფეხბურთელი გავხდები, როგორც რაფა ბენიტესისთვის ვიყავი"*, - აცხადებს კუიტი.

## მარტინო რჩება

**ხერარდო მარტინო** ერთი პერიოდი პარაგვაის ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ, ამჟამინდელ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელება გადაწყვიტა. რამდენიმე დღეში არგენტინელი სპეციალისტი პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რომლის მიხედვითაც ნაკრების სათავეში მომავალ წელს გასამართი „კოპა ამერიკას" ბოლომდე დარჩება.

არგენტინის ნაკრების სამუნდიალო კრახის შემდეგ მარტინოს ალბისელესტეს განვრთნას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა როგორც ჩანს, მას ამ პოსტზე დანიშვნის მცირე შანსი აქვს და პარაგვაიში დარჩენა ამიტომაც ამჯობინა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროპის ლიგა. გამოხმაურება




ფლორა-დინამო

# უცნაურობანი დინამოს გარშემო

**„წინსვლა სახეზეა - ევროტურნირებზე ჯერჯერობით უდანაკარგოდ ვასპარეზობთ! ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს „ზესტაფონი" რომ უპრობლემოდ გაივლიდა, ამაში ყველა დარწმუნებული ვიყავით. მართალია, უსუსტესი საფეხბურთო ქვეყნის (სან მარინო) გუნდთან სტუმრად ნათამაშები ფრე ვერაფერი სატრაბახო შედეგია, მაგრამ არა უშავს, - მომდევნო ეტაპზე ხომ მაინც ჩვენი გუნდი გავიდა. ასევე წარმატებულად გაიარა ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი თბილისის „დინამომაც"; ოღონდ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: ჩვენი უპირველესი გუნდისა და ტალინის „ფლორას" პირველი მატჩის დამთავრებისთანავე უამრავი კითხვა გაჩნდა. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ერთი კვირის წინ ჩატარებულ თბილისურ შეხვედრაში „დინამოს" თამაშმა მართლაც რომ გაორებული შთაბეჭდილება დატოვა; საერთოდაც, ამ ბოლო დროს „დინამოს" ირგვლივ იმდენ რამეს მოისმენთ თუ გაიგებთ, ველარც გავრკვეულვართ: რომელია ჭორი და რომელი - სიმართლე...**

„გაურკვევლობა და უცნაურობა" გასული სეზონის დამთავრებისთანავე დაიწყო; უფრო ზუსტად, ახალი სეზონისათვის მოსამზადებელ ეტაპზე, როცა გაირკვა, რომ გუნდი ტრადიციულ უცხოურ შეკრებაზე ვერ მიემგზავრებოდა. ამას წინათაც აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ, ცოტა არ იყოს, სასაცილო არგუმენტად მოგვეჩვენა ის ფაქტი, თითქოსდა, „დინამო" გერმანულ შეკრებაზე იმიტომ ვერ მიემგზავრებოდა, ადგილზე შესაფერისი სპარინგპარტნიორები არ გვეყოლებოდაო!.. აღარაფერს ვამბობთ არანაკლებ უცნაურ სატრანსფერო კამპანიაზეც - გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი (**გურამ კაშია, შოთა კაშია, თენგიზ ჩიკვილაძე, ჯორჯ აკირემი, ალექსანდრ კრსტესკი**) რომ წავიდა და მათ ნაცვლად, მხოლოდ ორი მოთამაშე დაიმატეს (ამ ორიდან ერთი, უბრალოდ, თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდა - **ლევან ხმალაძე**). ასეთი „უცნაური" მოსამზადებელი ეტაპი თუ სატრანსფერო კამპანია როდის ჰქონდა ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს, მართლაც ვერაფრით გაგვიხსენებია. თანაც, ზემოთ „ჭორ-მართალი" შემთხვევით არ გვიხსენებია: კულუარებში, ხანდახან, ისეთ რამეებზე საუბრობენ, დაჯერებაც არ გვინდა, რომ ეს ყველაფერი „დინამოს" ეხება!

ჰო, ხან ვილაცას შეეშლება და ინტერნეტით ძველ ინფორმაციას გაავრცელებს, მეორე და მესამე კი ამას აიტაცებს და პრესითა თუ ტელევიზიით უცბად ისევ წამოტივტივდება-ხოლმე **რომან აბრამოვიჩის** „სურვილი"... „დინამოს" შეძენასთან დაკავშირებით. ჰო, მედიაც რომ ხანდახან სცოდავს, ფაქტია - ზოგი ჩვენი კოლეგა, ოღონდ კი თავისთვის სასურველი ინფორმაცია მოიპოვოს, სულაც არ თაკილობს... სხვისი მოპოვებული ინფორმაციის გადაწერა-მითვისებას; იმაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ, რომ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სკანდალური თუ საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის გავრცელებისას ამ ინფორმაციის პირველი წყარო უნდა იყოს მითითებული, ან, ელემენტარულად ის ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს. თუმცა, ეს მაინც ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პრობლემებია (უკვე ყველანაირ პროფესიულ თუ ეთიკურ ნორმებს რომ სცილდება) და ჯობს, ისევ „დინამოს" დავუბრუნდეთ; „დინამოს", თავისი, ალბათ, მაინც სერიოზული პრობლემებით, ჯერჯერობით რომ არავინ ახმაურებს...

...არ დავმალავთ: „ფლორასა" და „დინამოს" განმეორებითი მატჩის წინ არცთუ ოპტიმისტური განწყობა გვქონდა; უპირველეს ყოვლისა, ნამდვილად არ გვინდოდა, რომ ევროტურნირებზე დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლის სტატუსით მოასპარეზე „დინამო" თავის ისტორიაში მეექვსედ გამოვარდნილიყო პირველივე წრეში. ჰო, აქამდე მხოლოდ ხუთი შემთხვევა იყო, როცა „დინამო" ევროტურნირების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ ძლევდა: 1996 წელს ბულგარულ „ბოტევთან" შევრცხვით), 2000 წელს - მოლდოვის „ზიმბრუსთან", 2001 წელს ბელგიის „სტანდარტის"... მეორე თუ მესამე შემადგენლობასთან, 2002 წელს - ბელარუსის „ბატესთან" და 2007 წელს - ალბანურ „ტირანასთან". სხვა დანარჩენ შემთხვევებში „დინამოს" პირველი საკვალფიკაციო ეტაპის ძლევა არ გასჭირვებია; ეგ კი არა, ერთხელ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც გავაღწიეთ: 2005 წელს **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამოს" ეს წარმატება ჯერჯერობით საუკეთესო შედეგად რჩება.

ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ პესიმისტური განწყობა პირველ მატჩში დაფიქსირებული შედეგის (2:1) გამო ნამდვილად არ გვქონია; არც მეტოქის „ფაქტორს" ვითვალისწინებდით: „დინამოს" მმართველი დირექტორის, ბატონი **ბუბა ტყავაძისგან** განსხვავებით (კლუბის საიტთან მიცემულ ინტერვიუში „ფლორა"... „საკმაოდ რთულ მეტოქედ" რომ შეაფასა) ჩვენ აბსოლუტურად საპირისპირო აზრის ვიყავით; ანუ, 19-20 წლის ბიჭებით დაკომპლექტებულ „ფლორას" ვერაფრით აღვიქვამდით „საკმაოდ რთულ მეტოქედ" და არც ის ფაქტი მიგვაჩნდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად, ჩვენგან განსხვავებით, ესტონეთში სეზონი დიდი ხნის დაწყებული რომ არის. ბოლოს და ბოლოს, იმავე „ფლორას", კლუბის არსებობის ისტორიაში, მხოლოდ ერთადერთხელ ჰქონდა ევროტურნირების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გავლილი! აღარაფერს ვამბობთ სტატისტიკაზეც: ქართულ-ესტონურ დაპირისპირებებში (საკლუბო და სანაკრებო დონეზეც) ხომ აშკარად უპირატესობა გვქონდა.

ჰო, გვქონდა, ახლა კი... წვალებით გავაღწიეთ მომდევნო ეტაპზე. კლუბის „შიდა სამზარეულოში" ჩახედვის სურვილი ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ, იქნებ ვინმემ აგვიხსნას, თუ რატომ გაემგზავრა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ევროტურნირების განმეორებითი შეხვედრის ჩასატარებლად... 16 ფეხბურთელით? ესტონური „ფლორას" ნაცვლად შორეული ფარერების გუნდი რომ გვყოლოდა მეტოქედ, პირველი შეხვედრაც „დინამოს" შთამბეჭდავი გამარჯვებით (ვთქვათ, ოთხი ან ხუთბურთიანი სხვაობით) დამთავრებულიყო და ჩვენი გუნდიც არასრული შემადგენლობით გამგზავრებულიყო გრძელ გზაზე, მაშინ „თანხების" დაზოგვასაც", ალბათ, გამართლებას მოვუძებნიდით; მაგრამ, როცა შინ მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით იმარჯვებ და, საპასუხო შეხვედრაში, ფაქტობრივად, ორი ნომინალური მცველით მიემგზავრები (საკუთარი აზრია და არავის თავს არ ვახვევთ, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ **გიორგი კახელიშვილი** და ლევან ხმალაძე ბევრად უფრო პროდუქტიულნი სულ სხვა ამპლუაში არიან), ცოტა არ იყოს, უცნაურადაც გვეჩვენება.

...ასეა, თუ ისე, „საკმაოდ რთული მეტოქის" ბარიერი დაძლეულია და ახლა შვედური „გეფლე" გველოდება. ამ გუნდის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას „ლელოს" უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ, თუმცა მანამდე იმას ვიტყვით, რომ შვედეთის ჩემპიონატის არაფრით გამორჩეული გუნდია: ამჟამად XI ადგილზე იმყოფება, შარშან კი სეზონი X ადგილზე დაასრულა და ევროტურნირებზეც... „ფეარ პლეის" კვოტით მოხვდა; თუმცა, რამდენად შეძლებს ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი შვედური მეტოქის ბარიერის დაძლევას, ძნელი სათქმელია. ეგ კი არა, შვედეთი ესტონეთზე შორს არის ჩვენგან და საინტერესოა, „დინამო" იქ რამდენი ფეხბურთელით გაემგზავრება?

***P.S.** „გეფლესა" და „დინამოს" პირველი მატჩი შვედეთში 15 ივლისს გაიმართება. ჰოდა, ვინ იცის - იქნებ „დინამო" სკანდინავიაში 15 ფეხბურთელითაც გაემგზავროს...*

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი



# ირაკლი მოდებაძე
# ყაზახებს დიდი ფული აქვთ, მაგრამ უნდა მოვუგოთ

ივარგებს თუ არ ივარგებს? ეს კითხვა „ოლიმპში" უცხოეთიდან ჩამოყვანილ ლამის ყველა ფეხბურთელზე ისმის. ასე იყო ირაკლი მოდებაძის შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე, ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი თავდამსხმელი გახლდათ და ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.

სულ რაღაც 17 წლის იყო, როდესაც ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" მისი ერთადერთი გოლით უეფას თასიდან „ლიდსი" გამოთიშა და უკრაინელები გასაოცარი პერსპექტივის თავდამსხმელზე ალაპარაკდნენ. სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელისთვის ნიჭიერება წყევლასავითაა, თითქმის არავის გამართლებია და ირაკლიც გამუდმებულმა ტრავმებმა დააბრკოლა. 2006 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, ტრავმის გარეშე სეზონი არ დაუსრულებია. ამის გამო იყო ეჭვები - ივარგებდა კი მოდებაძე?

*„შეკრებაზე მოდებაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შემიძლია გითხრათ, რომ გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. ძალიან მომეწონა, პიროვნებაც და ფეხბურთელიც. ის ჩვენთვის კარგი შენაძენია. ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ეს ჩემთვისაც გასაოცარი იყო"*, - ასეთია რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის, თემურ მახარაძის პასუხი, რაც ყველასთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

**ირაკლი კი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახეთის ჩემპიონ „აქტობესთან" მატჩს დიდი იმედით ელის და მიაჩნია, რომ ძალთა თანაფარდობა არც ისეთი კატასტროფულია, როგორც დღეს ბევრს მიაჩნია.**

**- ირაკლი, „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი შენი აყვანით კმაყოფილია. თავად ახალ გუნდზე რას გვეტყვი?**

- მეც ძალიან კმაყოფილი ვარ. არავინ თქვას, რომ საქართველოში და მით უფრო, ჩემპიონ გუნდში თამაში ადვილია. საერთოდ, აქ თვლიან, რომ დაბალი დონეა და იოლი პირველობაა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საკმაოდ რთული ტურნირია და „ცალი ფეხით" ვერავინ გაისეირნებს. საქართველოს ჩემპიონატში არასდროს მითამაშია, მაგრამ ერთი საკონტროლო შეხვედრა და ვარჯიშიც საკმარისი გამოდგა, ამაში რომ დავრწმუნებულიყავი. აქ არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, ვიდრე უკრაინაში, სადაც დიდი ხანი ვთამაშობდი და პარალელების გავლების საშუალება მქონდა. შეკრებაზე სულ რაღაც ორი კვირა ვიყავი და ბევრი რამ მომეწონა, ფეხბურთელებიც, მწვრთნელიც და მისი ვარჯიშებიც, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება იმ მეთოდისგან, რასაც უკრაინაში შევეჩვიე. სიმართლე გითხრათ, აქაური ვარჯიშები უფრო მომეწონა. „მეტალურგსა" და ლამის ყველა უკრაინულ კლუბში ყურადღებას ფიზიკურ მომზადებაზე, კროსებსა და ძალისმიერ დატვირთვებზე აკეთებენ. „ფიზიკაზე" ყურადღებას მახარაძეც ამახვილებს, მაგრამ მომზადების აბსოლუტურად სხვა მეთოდი აქვს, სულ ბურთთან გვავარჯიშებს და ასე დაღლაც სასიამოვნოა. ოთხი საკონტროლო ჩავატარეთ და ბუნებრივია, უკეთ ვარ, ვიდრე ჩამოსვლისას. საქართველოში და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე არ მითამაშია და მაინტერესებს, თავს როგორ გამოვიჩენ. იმედია, „ოლიმპს" დავეხმარები. „მეტალურგში" სისტემატურად არ ვთამაშობდი და სათამაშო პრაქტიკა მაკლდა. ამის მიუხედავად, საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მახარაძე კარგი ფსიქოლოგი გამოდგა, პირველივე ვარჯიშზე ნდობა ვიგრძენი - ფეხბურთელს ეს ხსნის და თავი ნელ-ნელა უკეთესად ვიგრძენი. საერთოდ, დაკვირვებული ვარ, საქართველოში ყველაფერი საკუთარის კრიტიკა გვახასიათებს და ჩვენი შესაძლებლობების არ გვჯერა. აქედან გამომდინარე, შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ზაპოროჟიეს „მეტალურგის" შემდეგ, „ოლიმპში" ჩამოსვლა და ვარჯიში მესიამოვნა.

**- უცნაურია, სიამოვნებას ყველა უკრაინაში წასვლით იღებს.**

- ზაპოროჟიეს „მეტალურგი" ხომ ამხელა კლუბია, მაგრამ ზოგჯერ ისეთ არაპროფესიონალიზმს ვაწყდებოდი... რა თქმა უნდა, ტრავმები ჩემი ბრალიც იყო, მაგრამ კლუბმა ფეხბურთელს ერთხელ და საფუძვლიანად ხომ უნდა უმკურნალოს? აღარც მინდა ძველი ამბების გახსენება, კიდევ კარგი, წამოვედი. მთავარია, ჯანმრთელად ვარ, ახლა დრო მჭირდება, შესაძლებლობები რომ გამოვავლინო.

**- საერთოდ, „მეტალურგმა" კონტრაქტი რატომ გაგიწყვიტა?**

- ეს თავად მოვითხოვე. კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან კონფლიქტი მომივიდა, რადგან ჩემთვის შეკრებაზე წასასვლელად ვიზის გაკეთება დაავიწყდა. მერე კი მიხვდა, რომ გადაამლაშა, მაგრამ შეკრება ერთ კვირაში მთავრდებოდა და ფაქტობრივად, ჩასვლისას 5 დღეს თუ ვივარჯიშებდი და წასვლას აზრი არ ჰქონდა. გაჩერება ისედაც აღარ მსურდა და კონტრაქტის გაწყვეტა მოვითხოვე. ამ დროს „ოლიმპიც" დამიკავშირდა. „მეტალურგის" პრეზიდენტს დაველაპარაკე - თქვენ რომ გსურთ, იმ თანხას ქართული კლუბი ვერ გადაიხდის, კონტრაქტი გავწყვიტოთ-მეთქი და დამთანხმდა. არადა, ორწლიანი კონტრაქტი მქონდა.

**- „ოლიმპში" როდემდე რჩები?**

- კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ ორმხრივი სურვილისა და დაინტერესებული კლუბის გამოჩენის შემთხვევაში, „ოლიმპი" ხელს არ შემიშლის.

**- „აქტობესთან" შენი ახალი კლუბის შანსებზე რას ფიქრობ? ბევრი მიიჩნევს, რომ მდიდარ ყაზახებთან შანსი არ გვაქვს...**

- რა თქმა უნდა, რთული შეხვედრები გველის, თანაც, როგორც გვითხრეს, ყაზახეთში საშინელი სიცხეებია, ნახევარი გუნდი ყაზახეთის ნაკრებში თამაშობს და ფინანსურად „აქტობე" ჩვენზე ბევრად მდიდარი კლუბია. ეს უკეთესი დაკომპლექტების საშუალებაა. რუსეთ-უკრაინიდან ბევრი ლეგიონერი ჰყავთ. ჩვენი ნაკლიც აშკარაა. არ ვიცოდი, რომ თურმე, ლამის ყველა ახალწვეული ვყოფილვართ და შეთამაშება გვაკლია. ამის მიუხედავად, შეუთამაშებლობა შეხვედრიდან შეხვედრამდე სულ უფრო ნაკლებად გვეტყობოდა და მჯერა, ეს ეტაპი უნდა გავიაროთ.

პირველი ლიგა

# დუბლები აგებენ, ძირითადი იგებს

სეზონისთვის მზადებას აგრძელებს „გაგრა". პირველ ლიგაში გავარდნის მიუხედავად, კლუბის მეპატრონეებს დაფინანსება არ შემცირებიათ. იმ დროს, როდესაც საქართველოს ჩემპიონი „ოლიმპი" ურეკში 17 ფეხბურთელის ამარა ემზადებოდა, „გაგრა" მეზობელ გრიგოლეთს 34-კაციანი დელეგაციით ესტუმრა.

**ანატოლი პისკოვეცის** ხელქვეითებმა გუშინ საკონტროლო შეხვედრა უმაღლეს ლიგაში გადმოსულ ფოთის „კოლხეთთან" გამართეს და დიდი ანგარიშით, 4:0 გაიმარჯვეს.

დუბლი შეასრულა **გიორგი ტყეშელაშვილმა, შალვა კვანტალიანმა** პენალტით სხვაობა სამამდე გაზარდა, გასინჯვაზე ჩამოსულმა უკრაინელმა ლეგიონერმა **ვლადიმერ ორდინსკიმ** კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:0.

როგორც კლუბის პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ** გვითხრა, რუსთავის „ოლიმპთან" 0:5 წაგებულ მატჩში არა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, არამედ, „გაგრას" დუბლშემადგენლობის წევრები მონაწილეობდნენ.

*„8 ივლისს „გაგრამ" ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა. პირველი მატჩი „ოლიმპთან" მეორე შემადგენლობით გავმართეთ და 0:5 ამიტომ დავმარცხდით. საქმე ისაა, რომ რუსთავის „ოლიმპი" რამდენიმე დღეში ევროტურნირებზე ჩაერთვება. მოწინააღმდეგის თხოვნა იყო, რომ ძირითადი შემადგენლობით არ გვეთამაშა და ანატოლი პისკოვეცმა მეორე გუნდი გაიყვანა. ფოთის „კოლხეთთან" კი უკვე ძირითადი შემადგენლობით ვითამაშეთ და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ"*, - ამბობს მიხეილ აფხაზავა.

სულ შეკრებაზე „გაგრამ" სამი საკონტროლო შეხვედრა გამართა: ბოლო ორზე უკვე გითხარით, ხოლო პირველში, 5 ივლისს, „სამტრედიასთან" **გიორგი ყურულაშვილისა** და **ლევან შარიქაძის** გოლებით „გაგრამ" 2:0 იმარჯვა.

აფხაზავას თქმით, 30 ივნისს დაწყებული შეკრება 12 ივლისს ქუთაისში, „ტორპედოსთან" საკონტროლო შეხვედრით დასრულდება და გუნდი თბილისში დაბრუნდება. რაც შეეხება უკრაინელ ვოვა ორდინსკის, აფხაზავას თქმით, უკრაინელი გამოცდილი ფორვარდია და ანატოლი პისკოვეცი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ის გუნდს შეკრების დაწყებიდანვე შეუერთდა.



ანატოლი პისკოვეცი

# ლოკომოტივის ბიჭები პრეზიდენტს დაუდგნენ

პირველ ლიგაში დაქვეითებული თბილისის „ლოკომოტივი" უმაღლესში დაბრუნებისთვის იბრძოლებს. გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი ხატიაშვილს** ბოლო ერთი წელი ახალგაზრდულ ნაკრებში სისტემატურად იძახებდნენ - ჯერ **კახა ცხადაძე**, შემდეგ **ოთარ გაბელია.** მას კარიერის უკეთეს კლუბში გაგრძელების საშუალება ჰქონდა. ამის მიუხედავად, გიორგიმ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა და ამბობს, რომ ეს ფეხბურთელების უმრავლესობის გადაწყვეტილებაა - გუნდს მძიმე მომენტში უნდა დავეხმაროთო.

*„ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, რომ შემადგენლობა შევინარჩუნოთ, ერთად დავდგეთ და „ლოკომოტივი" უმაღლესში დავაბრუნოთ. ჩვენ ძალიან კარგი და ერთსულოვანი გუნდი გვყავდა და გაჭირვებაში არ უნდა დავიშალოთ. თითოეული ჩვენგანისთვის ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილება იყო, რადგან უმაღლესში გადასვლის შანსი ბევრ ჩვენგანს ჰქონდა. პირველ ლიგაში თამაში სასიამოვნო არაა, მაგრამ ერთგულება ხომ უნდა არსებობდეს? სამი ფეხბურთელი წავიდა, მათი აბსოლუტურად გვესმის, მაგრამ ჩვენ გუნდი არ მიგვიტოვებია და შეთავაზებაზე უარი ბევრმა თქვა. ასე რომ, „ლოკომოტივში" ბირთვი შენარჩუნებულია. ჯერჯერობით ფინანსური მდგომარეობაც არაა გამოსწორებული, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ დაგვაიმედა და მჯერა, ერთსულოვნებით ბევრს მივაღწევთ"*, - ამბობს ხატიაშვილი.

„ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად დანიშნული 29 წლის **ლაშა ჭალიაშვილი** კი გასული სეზონის დასაწყისში გუნდის განაცხადშიც იყო და ყოფილ თავკაც **გელა სანაიასაც** ეხმარებოდა.




**ლაშა ჭალიაშვილი:** „სამწვრთნელო „ა" კატეგორიის ლიცენზია 2009 წელს ავიღე და „ლოკომოტივის" ჭაბუკებში ვმუშაობდი. ფეხბურთელობას კი სამი წლის წინ დავანებე თავი. მაშინ ახალციხის „მესხეთში" ვთამაშობდი, როდესაც გუნდი უმაღლესში გადმოვიდა.

გასული სეზონის დასაწყისში საკადრო პრობლემები რომ შეგვექმნა, სანაიამ მკითხა - თამაშს ხელახლა ხომ არ დაიწყებდიო? სერიოზულად მოვეკიდე და რამდენიმე შეხვედრაში ვითამაშე კიდეც".

*„კლუბში ფინანსური პრობლემებია. ამის მიუხედავად, გუნდში საბრძოლო განწყობაა და ნაცვლად გაქცევისა, ფეხბურთელებმა დარჩენა და პრეზიდენტის თანადგომა გადაწყვიტეს, რადგან ლექსო თოფურია ჩვენთვის უფრო მეგობარია, ვიდრე უფროსი. დამეთანხმებით, ეს იშვიათი შემთხვევაა, რადგან ლიგიდან გავარდნილი გუნდების უმრავლესობა დეგრადაციას განიცდის და ფეხბურთელებისგან იცლება.*

*ჩვენთან გამორჩეული ატმოსფერო იყო, რაც თოფურიას დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს - „ლოკომოტივი" სამართლიანი თამაშის ერთგულია და მიზნად საქართველოს ნაკრებისთვის მომავალი თაობებისა და პიროვნებების გაზრდას გვისახავს, რომლებიც ქვეყანას გამოადგებიან. როდესაც გუნდი ასეთი ფილოსოფიით არსებობს, ის არ დაიშლება"*, - ამბობს ჭალიაშვილი.

„ლოკომოტივი" საგურამოს ბაზაზე მოემზადება, სადაც, მთავარი მწვრთნელის თქმით, საკმაოდ კარგი პირობებია. *„ჩვენი შეკრება კლასიკური ვარიანტის არ იქნება. საგურამოში კარგი პირობებია, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, ფეხბურთელებს ტრენაჟორებზეც ვტვირთავთ და საკონტროლო შეხვედრებს ვგეგმავთ. თუმცა ფეხბურთელების ბაზაზე დატოვების საჭიროებას ვერ ვხედავთ. შეცვლილი გარემო, ვარჯიში და ბევრი თამაში გუნდის მომზადების საუკეთესო ვარიანტია, ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად არ იტვირთება და სასურველია ტურნირებში მონაწილეობა. უბრალოდ, ასეთი პირობები ჩვენთან არ არსებობს, თორემ უცხოურ ტურნირებს არაფერი სჯობია. ისე, ოთხთა ტურნირის თბილისში მოწყობა კარგი იქნებოდა და ამას რა უშლის ხელს? ასე მოსამზადებელ ეტაპს და საკონტროლო მატჩებს მეტი სტიმული მიეცემა. წელს მაინცდამაინც უმაღლესში გადასვლა არ დაგვისახავს მიზნად, მაგრამ ეს თითოეული ჩვენგანის სურვილია - მოედანზე რომ გავდივართ, ბუნებრივია, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ.*

*წელს, ალბათ, საგურამოში ვითამაშებთ, სადაც მშვენიერი მოედანია. შესაძლოა, ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდეს. თუმცა ეს გადაწყვეტილი არ არის. შესაძლოა, ისევ გლდანში ვითამაშოთ"*, - ამბობს „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

საკონტროლო მატჩი

# სამი გოლი ფლანგიდან...

**ტორპედო-კოლხეთი 2:1**

1:0 ხაჭიპერაძე (9. კვასხვაძის პასით), 2:0 საბანაძე (18), 2:1 ციცხვაია (57)

ტორპედო: მიგინეიშვილი - ფოფხაძე, ს. თოდუა, მაჭავარიანი, გურული - ნ. კვასხვაძე, თარხნიშვილი, დათუნაიშვილი, ჩიკვილაძე - ხაჭიპერაძე, საბანაძე. შეცვლაზე ითამაშეს: ქვილითაია, ბუკა გიგაური, ბიბილაშვილი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, კვერნაძე, ლომაშვილი, გივი ჩხეტიანი, კირკიტაძე, ცნობილაძე, კერმუხტაშვილი.

კოლხეთი: შენგელია - ჭითანავა, თედიაშვილი, ცხვიტარია, გველესიანი - სილაგავა, ჯოჯუა, ბუკია, გვალია, სიჭინავა - ციცხვაია. შეცვლაზე ითამაშეს: გულუა, აბურჯანია, ექონია, ნიქარიშვილი, ლემონჯავა, გელაჭეიშვილი.

მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა - **რამაზ მუმლაძემ** („ტორპედო") და **ბესიკ შეროზიამ** („კოლხეთი") ყველა ფეხბურთელი გასინჯეს. ქუთაისის „ტორპედოში" ითამაშა „ზესტაფონის" ყოფილმა ნახევარმცველმა **ნიკა კვასხვაძემაც**, რომელიც გასულ სეზონში „გაგრაში" იჯარით იყო გაშვებული.

ალსანიშნავია, რომ სამივე გოლი ფლანგური შეტევების შედეგად გავიდა. ქუთაისელთა პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა: მარჯვენა ფლანგზე **თენგიზ ჩიკვილაძისა** და **ნიკა კვასხვაძის** მიერ წამოწყებული ლამაზი კომბინაცია **ზაურ ხაჭიპერაძემ** ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა - 1:0.

მე-18 წუთზე მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგიდან მორიგი შეტევა განახორციელეს და „ავაზა-ვისოლის" აღზრდილმა **ნიკა საბანაძემ** არანაკლებ ეფექტური გოლი შეაგდო - 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში „კოლხეთი" გააქტიურდა. 57-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან კარში ფოთელმა ნახევარმცველმა **დათა სიჭინავამ** დაარტყა. მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე **დათა ციცხვაიამ** იმარჯვა და თავური დარტყმით ანგარიში შეამცირა - 2:1.

მეტოქეებმა საგოლე მომენტები ამის შემდეგაც შექმნეს, მაგრამ **გივი ჩხეტიანმა, დავით კირკიტაძემ, კემუხტაშვილმა** („ტორპედო") და **სიჭინავამ** („კოლხეთი") შანსები ვერ გამოიყენეს.

ცნობილია მომდევნო სპარინგის თარიღიც - 12 ივლისს „ტორპედო" ქუთაისში „გაგრას" უმასპინძლებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# შეკრება დასრულდა

„ვიტ ჯორჯია" უკრაინული შეკრებიდან თბილისში გუშინ დაბრუნდა. შეკრებაზე ბოლო მატჩი **გელა გომელაურის** გუნდმა „კრიმტეპლიცას" შეხვდა და 1:3 დამარცხდა.

„ვიტ ჯორჯია" მე-6 წუთზე **ვახტანგ კვარაცხელიამ** დააწინაურა. მან უკრაინელთა კარი **გიგა ბეჭვაიას** პასით დალაშქრა. „კრიმტეპლიცამ" ანგარიში 45-ე წუთზე გაათანაბრა, მომდევნო გოლები კი 55-ე და მე-80 წუთზე გაიტანა.

„ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მიქაბერიძე (46. ძაძამია) - ხურცილავა (14. ღანიაშვილი), ლომაია, ადამაძე (78. გოგიაშვილი), ბეჭვაია (70. ჭანკვეტაძე) - მაისაშვილი (68. კასრაძე), გურეშიძე (63. კორიფაძე), ვასაძე - ლიპარტია (75. ჯანელიძე), კლიმიაშვილი (75. ზაქრაძე) - კვარაცხელია (63. ჩიმაკაძე).**

შეგახსენებთ, საქართველოს თასის მფლობელები ევროპის ლიგაზე ასპარეზობას პირდაპირ მეორე ეტაპიდან იწყებენ. 15 ივლისს თბილისში მათი მეტოქე ჩეხური „ბანიკი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ოქრიაშვილს დებიუტი მოუწონეს


მარჯვნივ თორნიკე ოქრიაშვილი

**თორნიკე ოქრიაშვილმა** დონეცკის „შახტარის" ფორმა გუშინ პირველად მოირგო. უკრაინაში ეროვნული ჩემპიონატი დღეს იწყება, გუშინ კი სეზონი ახალგაზრდულმა შემადგენლობებმა გახსნეს. დონეცკელებმა ოლიმპიურ არენაზე კრივოი როგის „კრივბასს" უმასპინძლეს და 2:0 გაიმარჯვეს.

თორნიკე „შახტარის" დუბლშემადგენლობის ძირითადში 10-ნომრიანი მაისურით გამოჩნდა. 18 წლის პლეიმეიკერი მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს. ამ დროისთვის დონეცკელები უკვე 2:0-ს იგებდნენ...

„შახტარის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ოქრიაშვილი ასე შეაფასა: „რაც შეეხება თორნიკე ოქრიაშვილს, აშკარად იგრძნობოდა, რომ მოედანზე დიდი მონდომებით გამოვიდა", - იუწყება „შახტარის" პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერი

# მუჯირს ხვალ გამოცდიან

## დათო ჰერტაში გამოიძახეს



გეხსომებათ, მაისის ბოლოს **დავით მუჯირი** ბერლინის „ჰერტაში“ გამოჩნდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ივარჯიშა, საკონტროლო მატჩებშიც ითამაშა და ერთ შეხვედრაში დუბლიც გაახერხა. მაშინ „ჰერტას“ მწვრთნელი ჯერ კიდევ **ფრიდჰელმ ფუნკელი** იყო. ამის შემდეგ მუჯირი სამშობლოში დაბრუნდა და როგორც „ლელოს“ უთხრა - თუ „ჰერტა“ მის პოზიციაზე გაძლიერებას გადაწყვეტდა, პირველ რიგში მას დაუკავშირდებოდნენ. მოვლენები სწორედ ამ სცენარით განვითარდა.

„ჰერტას“ ახალმა თავკაცმა **მარკუს ბაბელმა** უკვე შეკრიბა გუნდი და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. „კიკერის“ ცნობით, ახალ ფეხბურთელებს შორისაა დავით მუჯირიც, რომელსაც საკონტროლო მატჩებში გამოცდიან. „ჰერტა“ პირველ სპარინგს 11 ივლისს, ერთ-ერთ ქვედალიგოსანთან გამართავს.

ბავშვთა ფეხბურთისთვის...

# კალაძე სამტრედიასა და ქუთაისს ეწვევა

ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** და მისი საქველმოქმედო ორგანიზაცია „კალა ფონდი“ პერიოდულად აწყობს აქციებს. რეგიონებში ფეხბურთის განვითარებისთვის „კალა ფონდმა“ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა - შარშან დაწყებული პროექტი დააგვირგვინა და ათიოდე დღის წინ, ახალციხის რაიონის მაღალთმიან სოფელ მუსხში ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გახსნა. „მუსხში“ ამჟამად 72 ბავშვი ირიცხება და ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. „კალა ფონდთან“ ერთად, ამ სკოლას ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც ეხმარება. პროექტს პირველი თანამდგომიც გამოუჩნდა, კომპანია PSP. „ლელოსთან“ საუბარში კალაძემ აღნიშნა, რომ რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება მისი ფონდისთვის პრიორიტეტულია და ამ მიმართულებით კიდევ არაერთ პროექტს განახორციელებს.

*„ქართული ფეხბურთი რეგიონებიდან ყოველთვის დიდ შევსებას ღებულობდა. სამწუხარო რეალობაა, რეგიონებში საფეხბურთო თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი ვითარებაა. წლების წინ, ყველა რაიონში იყო საფეხბურთო სკოლა, ე. წ. საფეხბურთო წრეები, სადაც სპორტის უპირველეს სახეობას ბავშვები ბევრად უკეთეს პირობებში ეუფლებოდნენ. დღეს კი რა ხდება რეგიონებში? რაიონებსა და სოფლებში ბავშვებს თითქმის არ აქვთ პირობები ფეხბურთს რომ დაეუფლონ. მართალია, ამ ბავშვებიდან ყველა ფეხბურთელია ვერ გახდება, მაგრამ მინიმალური შედეგი მაინც მიღწეული იქნება - ბავშვები ჯანმრთელი ცხოვრების წესით იცხოვრებენ და საერთოდ, ჯანმრთელი თაობა გვეყოლება. „კალა ფონდის“ პრიორიტეტი რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ამ მხრივ ვითარების გამოსწორებაა. გვინდა, რაც შეიძლება მეტ რეგიონში განვახორციელოთ ისეთივე პროექტი, რაც მუსხში გავაკეთეთ. გვინდა ეკიპირებით, ბურთებით, სპორტული ატრიბუტიკითა და სხვა მხრივ დავეხმაროთ რეგიონებში საფეხბურთო სკოლებს. იმედი მაქვს, ისევე როგორც მუსხში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც დაეხმარება ბავშვთა ფეხბურთს და თავის წვლილს შეიტანს.*

*„მუსხის“ მსგავს პროექტს, სავარაუდოდ, აგვისტოში განვახორციელებთ სამტრედიასა და ქუთაისში. „კალა ფონდი“ ახლა ამ ქალაქებში ვითარებას სწავლობს და აგვისტოში სამტრედიასა და ქუთაისს ვეწვევით“,* - „ლელოსთან“ საუბარში განაცხადა კახა კალაძემ.

დაბოლოს, როგორც გავიგეთ, ჩვენი სპორტისა და სხვა სფეროს რჩეულ წარმომადგენლებთან ერთად, კახა კალაძემაც მიიღო მონაწილეობა იმ აუქციონში, რომელიც 14 წლის ჭაბუკი ფეხბურთელის **გიორგი საღირაშვილის** დასახმარებლად გაიმართა. ნაკრების კაპიტანმა აუქციონზე გასაყიდად „მილანის“ მაისურა გაიტანა, რომლითაც სადებიუტო სეზონში „როსონერიში“ ასპარეზობდა.



ტრანსფერი



ბურთით საბა კვირკველია

# კვირკველია დავიდოვის იმედია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **საბა კვირკველია** ჯერ კიდევ გასულ ზამთარს შეეცადა გალეგიონერებას. წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ახლა კი ფიფას აგენტის **რევაზ ჩელებაძის** დახმარებით, კვირკველია სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ მოხვდა. ზამთრის პაუზისას ჩვენებური ნევისპირელებს თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე შეუერთდა. მაშინ საბამ „ზენიტისგან“ კონტრაქტი ვერა, მაგრამ მოწონება და დიდი ინტერესი კი დაიმსახურა. მაშინვე გადაწყდა, რომ რუსული გუნდის მწვრთნელები კვირკველიას ზაფხულში კიდევ ერთხელ დააკვირდებოდნენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებდნენ.

კვირკველია „ზენიტის“ მწვრთნელებმა ივნისში კიდევ ერთხელ ნახეს. თუმცა საბაზე საკმაო წარმოდგენა უკვე ჰქონდათ. ცნობისთვის, ზამთარში, თურქული შეკრებისას საბა კვირკველიამ 5 საკონტროლო მატჩი ჩაატარა „ზენიტის“ სარეზერვო გუნდში და 2 გოლი მიითვალა, ეს კი მცველისთვის მშვენიერი შედეგია. ამჯერად კვირკველიას გოლი არ გაუტანია, მაგრამ მოწონება დაიმსახურა და ტრანსფერიც შედგა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბა კვირკველია „ზენიტის“ ფეხბურთელია - ნევისპირელთა კლუბმა 196 სმ სიმაღლის ქართველ მცველთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

*„ზენიტთან“ კონტრაქტი უკვე გავაფორმე და თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნია. მადლიერი ვარ რევაზ ჩელებაძის, „ზენიტში“ სწორედ მისი მეშვეობით მოვხვდი. არასდროს დავიშურებ მადლიერების სიტყვებს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაც ვლადიმერ გუცაევის, ყველა იმ მწვრთნელს მიმართ, ვინც თავისი წვლილი შეიტანა, ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში. თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი ვარ და ამ აკადემიამ ბევრი რამ შემძინა... რაც შეეხება ხელშეკრულებას, მისი ფორმულირება ასეთია - 6 თვე პლუს 3 წელი. „ზენიტში“ თავიდანვე თბილად მიმიღეს. სარეზერვო გუნდის თავკაცი ანატოლი დავიდოვი მარიგებს, საფეხბურთო რჩევებს მაძლევს და ხშირად ცხოვრებისეულ თემებზეც მესაუბრება“,* - აღნიშნა კვირკველიამ „ლელოსთან“ საუბარში.

საინტერესოა, რა პლუს-მინუსები აქვს ტანმაღალ მცველს, რაზე მიუთითებს მწვრთნელი და როგორია სპეციალისტის შეფასება...

*„საბას თამაში დავიდოვს ჯერ კიდევ ზამთარში მოეწონა. პატარა საქმე ნამდვილად არ არის, მცველმა 5 საკონტროლო შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა. ამ თაობაში კვირკველია უდავოდ გამორჩეულია, თორემ „ზენიტი“ სოლიდური კლუბია და ახალგაზრდა ფეხბურთელში პერსპექტივა თუ ვერ დაინახეს, ლამაზი თვალების გამო კონტრაქტს არავის გაუფორმებენ. ანატოლი დავიდოვი საბაზე ბევრს მელაპარაკა. მითხრა, რომ ზამთრის შემდეგ კვირკველიამ მოუმატა, აშკარად ეტყობა, რომ საკუთარ თავზე მუშაობდა. საბა თავით კარგად თამაშობს, ბრძოლისუნარიანია, თამაშს კითხულობს, აზროვნებს... მას არაერთი კარგი თვისება აქვს, მაგრამ საკუთარ თავზე მუშაობა უნდა გააგრძელოს. დღეისათვის მისი მთავარი ნაკლი ფიზიკური კონდიციაა. კვირკველია ფიზიკურად მოძლიერდება და ჩინებული მცველი დადგება“,* - დავიდოვის სიტყვები რევაზ ჩელებაძემ გადმოგვცა.

1 აგვისტოდან საბა კვირკველიას ოფიციალურად შეიყვანენ „ზენიტის“ განაცხადში და აგვისტოში პირველივე მატჩში შეეძლება თამაში. დავიდოვი ფეხბურთელს დებიუტისთვის დუბლებში დებიუტისთვის უკვე ამზადებს.

თავად საბამ გვითხრა, რომ სანკტ-პეტერბურგში ბინა უკვე შეურჩიეს, მაგრამ მუდმივნომრიანი მაისურა ჯერ არ შეურჩევია. თუმცა ერთი რამ გადაწყვეტილი აქვს - ზურგზე გვარის ნაცვლად სახელს დაიწერს. კლუბი მაისურას ამ დღეებში დაუმზადებს.

საინტერესოა, რას ფიქრობს „ზენიტურ“ პერსპექტივასა და ნაკრებზე თავად ფეხბურთელი:

*„უკვე „ზენიტში“ ვარ და ჩემი უმთავრესი ამოცანაა წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენო, რათა კიდევ 3 წლით დავრჩე ამ გუნდში. ამასთან, საკუთარ თავზე უნდა ვიმუშავო, ნაკლი დავხვეწო, ფიზიკური კონდიციები ავიმაღლო. მინდა, რაც შეიძლება მოკლე ხანში დავმკვიდრდე „ზენიტის“ დუბლების სასტარტოში, მერე კი მთავარ გუნდში გადასასვლელად სერიოზული განაცხადი გავაკეთო. აქაური დუბლების პირველობა კარგი დონისაა, მაგრამ ისეთი ნამდვილად არ არის, ძირითადში დამკვიდრება რომ ვერ შევძლო. ამჟამად 19-წლამდელთა ნაკრების წევრი ვარ. შემოდგომაზე კიდევ ერთი მოსამზადებელი ეტაპი გველის, მერე კი საკვალიფიკაციო ციკლი. „ზენიტში“ საიმისოდ უნდა მოვემზადო, რომ 19-წლამდელებიდან ახალგაზრდულ ნაკრებში გადასვლა დავიმსახურო. შრომა არ მეზარება და მჯერა, ამ ჩანაფიქრების განხორციელებას შევძლებ“.*

ევროპის ლიგა

ზესტაფონი-დუკლა. მეტოქე

# ვინ იქნება კაროლთან კოზირი?

„ფაეტანოს“ ძლევის შემდეგ, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონის“ მორიგი მეტოქე ბანსკა ბისტრიცას (ქალაქი სლოვაკეთ-ავსტრიის საზღვარზე მდებარეობს) გუნდი „დუკლაა“, რომელიც 1965 წელს დაარსდა. იმერელთა მეტოქე მთავარ ლიგაში 1993 წლიდან ასპარეზობს. გუნდმა საუკეთესო შედეგი მხოლოდ 2004 წელს აჩვენა, როცა ვიცე-ჩემპიონობა ერგო. გარდა ამისა, „დუკლამ“ ორჯერ, 1981 და 2005 წლებში ქვეყნის თასი მოიპოვა. ბოლოს ჩატარებულ სეზონში ეს გუნდი ზესტაფონელთა მსგავსად ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გუნდის თავკაცი **კაროლ მარკოა**. ამ გუნდში ერთადერთი ლეგიონერია - 21 წლის სენეგალელი თავდამსხმელი **მოჰამადუ სეიე**, რომელსაც 27 შეხვედრაში 4 გოლი აქვს გატანილი. „დუკლას“ საშინაო არენა SNP Stadium-ია, რომელიც 10 ათას გულშემატკივარს იტევს.

ფაქტია, რომ „ფაეტანოს“ შემდეგ „ზესტაფონს“ გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავს. სლოვაკები იმერლებთან მატჩებისთვის ავსტრიაში ემზადებოდნენ. ისინი კვირის ბოლოს სამშობლოში დაბრუნდებიან. კაროლ მარკოს გუნდში ახალწვეულების გამოჩენასაც ელიან. ამასთან, „დუკლამ“ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც გამართა, მათ შორის, ქვედალიგოსნებთანაც. ნაცნობი გუნდებიდან კაროლის კრებულმა ავსტრიის თასის ფინალისტ „ვინერ ნოიშტადტთან“ 1:0 მოიგო, თუმცა დამარცხდა (0:3) სახელგანთქმულ ვენის „რაპიდთან“.

„ზესტაფონი“ სლოვაკებთან პირველ მატჩს 15 ივლისს, მშობლიურ არენაზე გამართავს. „დავით აბაშიძის“ სტადიონზე თამაში 20 საათზე დაიწყება. მატჩს მოლდოველი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი არბიტრი **ვიაჩესლავ ბანარი** იქნება.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ყაზარაშვილის ტურნირი

# ორი ოქრო ჩვენ, დანარჩენი სტუმრებს

ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა ნაკრები ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 3-8 აგვისტოს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. ტურნირამდე მათ ამ კვირაში ორ შეჯიბრებაში იჭიდავეს - რამდენიმე დღის წინ ირანში, იქიდან დაბრუნებულები კი ლამის პირდაპირ ჩაებნენ **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც რუსთავში ჩატარდა და გუშინ დასრულდა.

ირანული შეჯიბრება ქალაქ გორგანში გაიმართა, თუმცა თავიდან სხვა ქალაქში იგეგმებოდა და ადგილზე ჩასულ ჩვენს ფალავნებს ექსტრემალურ პირობებში მოუნიათ გადანაცვლებამ. ამის მიუხედავად, **ვაჟა კრავეიშვილის** შეგირდებმა მაინც წარმატებით იჭიდავეს - ოქროს ორი, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს სამ-სამი მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები **ფირუზ წულუკიძე** (63) და **რობერტ ქობლიაშვილი** (85) გახდნენ. **ნიკა ცეცხლაძემ** (50), **თორნიკე ჯანგავაძემ** (58) და **ლაშა გობაძემ** (76) ფინალური შეხვედრები დათმეს, ბრინჯაოს მედლებს კი **თემურ რუხვაძე** (63), **აკაკი კანდელაკი** (85) და **ირაკლი ქაჯაია** (100) დაეუფლნენ. ამ შედეგებით ჩვენები გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდნენ.

ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირს, ტრადიციულად, მისმა მშობლიურმა რუსთავმა უმასპინძლა, თუმცა ამჯერად შეჯიბრებას თავად მასპინძელი არ დასწრებია საპატიო მიზეზით - მოგეხსენებათ, ის ეგვიპტის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და აფრიკიდან ვერ ჩამოვიდა.

ტურნირში მასპინძლებთან ერთად ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ისრაელისა და ავსტრიის გუნდებიც მონაწილეობდნენ. დაახლოებით 200 მოზარდი და საკმაოდ ძლიერი შეჯიბრება გამოვიდა. იმდენად ძლიერი, რომ ჩვენებს გაუჭირდათ კიდეც წარმატების მიღწევა. მწვრთნელთა გასახარად, ნაკრების ლიდერთა უმეტესობამ მაინც დაამტკიცა თავისი სიძლიერე. თუმცა ოქროების რაოდენობით აზერბაიჯანსაც ჩამოვრჩით და თურქეთსაც, ზოგიერთ წონაში კი ჩვენები პრიზიორებშიც ვერ მოხვდნენ. ცხადია, ეს ყველაფერი ტურნირის სიძლიერეზე მიუთითებს, თუმცა მასპინძლებს მაინც მეტი მართებდათ. სამაგიეროდ, შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაში წაადგათ. ტურნირმა სასელექციო თვალსაზრისითაც მეტ-ნაკლებად შეასრულა თავისი დანიშნულება და ერთი ახალი სახელიც წარმოაჩინა - 100 კილოგრამში ვერცხლის პრიზიორი **ნიკა კორსანტია**, რომელიც პირველად მოექცა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში და კარგი ჭიდაობით მოწონებაც დაიმსახურა.

ამ შეჯიბრებით ჩვენმა ნაკრებმა დაამთავრა ევროპირველობისთვის მზადების ის ეტაპი, რომელიც სატურნირო შემოწმებას ისახავდა მიზნად. ბოსნიაში გაფრენამდე გუნდი მხოლოდ შეკრებას გაივლის, შეჯიბრებებში კი აღარ გამოვა. ბოსნიაში წასაყვანი გუნდიც, არსებითად, უკვე ცნობილია, მაგრამ კრავეიშვილი მის დასახელებას ჯერ არ ჩქარობს - შეკრების დასრულებას ელოდება და ამას მერე გააკეთებს.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**42 კგ.** 1. მურად ბაზაროვი (აზერბაიჯანი), 2. **ბაკურ გოგოლი**, 3. **ედნარ შავაძე** (ორივე საქართველო), რამიზ მამედოვი (აზერბაიჯანი).

**46 კგ.** 1. მურად მამედოვი (აზერბაიჯანი), 2. საიედ გონტი (ირანი), 3. ვანგიფ სიმონიანი, ალბერტ ვარდანიანი (ორივე - სომხეთი).

**50 კგ.** 1. კილიკ ბერეკი (თურქეთი), 2. ტურალ ნაჯაფ-ოღლი (აზერბაიჯანი), 3. **დავით შვანგირაძე** (საქართველო), დამირ ნაბერლაკი (ირანი).

**54 კგ.** რაშად სიგუნოვი (აზერბაიჯანი), 2. **ბაჩანა ფუტკარაძე** (საქართველო), 3. ტოგულ დემიროვი (აზერბაიჯანი), ვაზგენ ხაჩატურიანი (სომხეთი).

**58 კგ.** 1. როვშან ბაგიევი, 2 რამიზ აჰმედოვი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. **ამირან შავაძე** (საქართველო), რაუჰან როიერი (ირანი).

**63 კგ.** 1. **ფირუზ წულუკიძე** (საქართველო), 2. დოგან გიოქტასი (თურქეთი), 3. **ზეზვა აბრამიშვილი** (საქართველო), ისმაილ გოჩასლანი (თურქეთი).

**69 კგ.** 1. საიდ მურად ბაგმანოვი (აზერბაიჯანი), 2. მოსაიედ მორადი (ირანი), 3. გაგიკ ლარიბიანი, სარქის კოჩარიანი (ორივე - სომხეთი).

**76 კგ.** 1. ემრე ნიუნიუზ თორგუ, 2. სარის დოგრანი (ორივე - თურქეთი), 3. **ლაშა გობაძე** (საქართველო), სულეიმან ოიმატი (თურქეთი).

**85 კგ.** **რობერტ ქობლიაშვილი** (საქართველო), 2. გორგიმარატ გორგიევი, 3. რუიალ ნოვრუზოვი (ორივე - აზერბაიჯანი), ნაურ ელიგულაშვილი (ისრაელი).

**100 კგ.** 1. კირსან მიმინი (თურქეთი), 2. **ნიკა კორსანტია**, 3. **მუხრან ჯანგულიძე** (ორივე - საქართველო), თურან თორგული (თურქეთი).

სუმო


ტოჩინოშინი (მარცხნივ) ჰაკუჰოს წინააღმდეგ

# ბაშო დიდ ჩემპიონთან რკენით და ქართული დუელით იწყება

სუმოს ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვის ქვეყნდება დებიუტანტთა მისასალმებელი სიტყვები. ახლაც ასეა, მოკლე კომენტარი გააკეთეს ელიტის დებიუტანტმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** და კომუსუბის რანგში პირველად მოჭიდავე **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**. აი, რა თქვა ჯუღელმა: *„მე ვარ მაკუუჩის დივიზიონის დებიუტანტი გაგამარუ. ამ ტურნირზე შევეცდები, საუკეთესოდ ვიასპარეზო და შეჯიბრება დადებითი ბალანსით დავასრულო. ველი თქვენს მხარდაჭერას“*. გიორგაძე კი გაცილებით ამბიციურია: *„მე ვარ კომუსუბი ტოჩინოშინი, ნაგოიას ბაშოზე შევეცდები, არ წავაგო თუნდაც ერთი ორთაბრძოლა. ვიმედოვნებ, რომ გულშემატკივრები მე დამიჭერენ მხარს“*. მართლაც რთული ამოცანა დაუსახავს 22 წლის ქართველს. მით უფრო, რომ გუშინ გაირკვა, ტოჩინოშინის პირველი მეტოქე დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** იქნება.

ივლისის ბაშო კვირას დაიწყება აიჩის პრეფექტურის გიმნაზიუმში და მის ელიტურ დივიზიონში 42 რიკიშის ნაცვლად 35 ავა დოჰიოზე. 7 სუმოისტი არალეგალურ ტოტალიზატორებში თამაშის გამო დისკვალიფიცირებულია, მათ შორის, ოძეკი **კოტომიცუკი** - სამუდამოდ. **გოეიდო, ტოიონოშიმა, მიაბიამა, ტოიოჰიბიკი, ვაკაკოიუ** და **ოკინოუმი** კი ნაგოიას ბაშოს გამოტოვებენ.

კვირა დღეს ჰაკუჰოსა და ტოჩინოშინის ორთაბრძოლა დაასრულებს ტურს. აქამდე ლევანი ოთხჯერ შეხვდა დიდ მონღოლს და ოთხჯერვე დამარცხდა. ორჯერ ჰაკუჰომ ქართველს იორიკირით აჯობა, თითოჯერ კი უვატენაგეს და იორიტაოშის ილეთებით. ტოჩინოშინს უმაღლეს დივიზიონში აქამდე 96 მოგება და 99 მარცხი აქვს. ეს მისთვის მე-15 ბაშოა ელიტაში.

არანაკლებ საინტერესო იქნება ჩვენთვის კიდევ ერთი ორთაბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა გაგამარუ და დასავლეთის მე-12 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)** ხვდებიან. 29 წლის 154-კილოიანი კოკაი 23 წლის 202-კილოიან გაგამარუს პირისპირ. თუკი გაგამარუ დებიუტანტია, „შავი ზღვა“ ელიტაში 41-ე ბაშოს ითვლის. ყოფილი კომუსუბი თანამემამულეს აქამდე არასოდეს შეხვედრია, ან სად უნდა შეხვედროდა, კოკაი არ გავარდნილა ელიტიდან, ხოლო გაგამარუ დებიუტანტია. ორივე ჩვენებურს დადებითი ბალანსით მართებს ნაგოიას ბაშოს დასრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება ძურიოს დივიზიონში დაქვეითებამ მოუწიოთ. პირველი დღის საინტერესო ორთაბრძოლებიდან გამოვყოფთ ოძეკი **ბარუტოსა** და კომუსუბი **ჰაკუბას** ჯახს, ასევე მე-2 მაეგაშირა **ამინიშიკისა** და სეკივაკე **კისენოსატოს** დაპირისპირებას. გარკვეულია ჩვენებურთა მეტოქეები ტურნირის მეორე დღესაც: ტოჩინოშინი ოძეკი **ჰარუმაფუჯის** ეპაექრება, გაგამარუ - მე-10 მაეგაშირა **ტოსაიუტაკას**, ხოლო კოკაის მეტოქე მე-14 მაეგაშირა **ტამავაში** იქნება.

იაპონურმა ტელევიზია **NHK**-მ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით გადაწყვიტა, არ აწარმოოს ბაშოს პირდაპირი ტრანსლაცია, რაც 1953 წლის მერე პირველი შემთხვევაა. სუმოს ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბაშოს გამარჯვებულს იმპერატორის თასი არ გადაეცეს. ბუნებრივია, გამარჯვებული ისტორიაში შევა, მაგრამ პრიზს არ მიიღებს და არც 100 ათას დოლარს. გამარჯვებულს მხოლოდ ბაშოს ჩემპიონის გარდამავალი დროშა მიენიჭება. მოკლედ, სკანდალმა სუმო და სუმოისტები დიდად აზარალა. არ გათამაშდება სხვადასხვა პრიზი და ჯილდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

# საქა-რთველო ფავორიტთან დამარცხდა

შვეიცარიის ქალაქ გშტადში პლაჟბურთის მსოფლიო ტურის ეტაპი მიმდინარეობს. ქალთა ქართულმა გუნდმა **საქა-რთველომ (კრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგასი)** კარგად იასპარეზა. ჩვენებმა ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლიეს (სადაც პირველ ნომრად განთესეს), შემდეგ კი - ჯგუფური. მერვედფინალში საქა-რთველო (რეიტინგით 24-ე ტურნირზე) ჩინურ დუეტს (**ჰუანი, უე**) ხვდებოდა, რომელთა განთესვის ნომერი 30-ე იყო. ჩვენებმა ძალზე დაძაბული მატჩი მოიგეს - 2:1 (18:21, 21:19, 16:14). შეხვედრა ზუსტად საათს გაგრძელდა. შემდეგ ეტაპზე კი ჩვენებს აშკარად არ გაუმართლათ, მათი მეტოქეები პირველ ნომრად განთესილი ბრაზილიელები, **ლარისა და ჟულიანა** იყვნენ. 34 წუთში საქა-რთველომ 0:2 დათმო (11:21, 17:21).

ვაჟთა გუნდმა **გეორ-გიამ (რენატო გომეში, ჟორჟე ტერშეირო)** ვერ იყოჩაღა, არადა, ჯგუფურ ეტაპზე მე-10 ნომრად განთესილი მასპინძლების დამარცხებით დაიწყო. მეორე მატჩში გეორგია მე-7 ნომრად განთესილ პოლონურ დუეტს (**ფიალეკი, პრუდელი**) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა - 0:2 (18:21, 20:22). ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ ჩვენებმა ფავორიტებს დიდი ბრძოლა გაუმართეს, შეხვედრა 47 წუთს გაგრძელდა. აი, როგორ დათმო მესამე შეხვედრა ქართულმა დუეტმა, საოცარია - მეტოქე არ იყო ძლიერი, 26-ე ნომრად განთესილი გერმანული დუეტი (**ერდმანი, მატისიკი**) - 0:2 (18:21, 16:21). ასე დარჩა გეორ-გია პლეი ოფის მიღმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფელი

# მწვრთნელი - დესპანი

ოცი წელია, ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძაში გორელი რუბენ პოლოსიანი ქართული ენის მასწავლებლად მუშაობს და იქვე თავისუფალი ჭიდაობის შემსწავლელ ჯგუფსაც ხელმძღვანელობს. საპასუხისმგებლო საქმეს შეჭიდებულს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, თუმცა არ დანებებულა და მისი აღსაზრდელების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეტაპობრივად წინაც მიიწევს. საინტერესოა, რომ იგი ევროპის ორგზის ჩემპიონის დავით პოლოსიანის ბიძაა და ტიტულოვანი ძმისშვილი ჭიდაობის სიყვარულს პირველად სწორედ მან აზიარა.

— ჭიდაობა მშობლიურ გორში ნუგზარ სხირელთან დავიწყე. მისი პირველი შეგირდები ჩვენი თაობის ბიჭები ვიყავით და მეამაყება, რომ აღზრდილთაგან პირველი მედალი სწორედ მე მოვიპოვე - 1975 წელს სოხუმში საკავშირო თასის გათამაშება მოვიგე. მაშინ დარბაზის უქონლობის გამო ძიუდოისტებს მივეკედლეთ და საღამოს 8-დან 12 საათამდე, ანუ მაშინ გვიწევდა ვარჯიში, როცა ხალიჩა თავისუფალი იყო. სპორტში გამოსვლა უკრაინაში სტუდენტობისას დავასრულე, იქაც რამდენიმე საკავშირო სპორტული ჯილდო მოვიპოვე.

**— ნინოწმინდაში როგორ აღმოჩნდით?**

— უკრაინიდან დაბრუნებულს 1989 წელს, როდესაც დასაქმება უკვე საკმაოდ რთული იყო, ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძაში მასწავლებლად მუშაობა შემომთავაზეს. კარგად ვფლობდი ქართულს, რუსულს, სომხურს და ნაწილობრივ გერმანულსაც. მასწავლებლობის დაწყებისთანავე თავისუფალი ჭიდაობის სექცია ჩამოვაყალიბე. დარბაზის უქონლობის გამო თავშესაფარს ხშირად ვიცვლიდით. მერე მოსახლეობის მხარდაჭერით ერთი მიტოვებული შენობა შევისყიდეთ. საერთოდ, ადგილობრივებთან კარგი ურთიერთობა ბევრი პრობლემის დაძლევის საშუალებას მაძლევს. მწვრთნელობის გარდა, იმ წლებში, როცა ზოგიერთი გარეწარი ქართველებსა და სომხებს შორის წყლის ამღვრევას ცდილობდა, გარკვეულწილად დესპანის როლსაც ვასრულებდი.

**— თქვენს რაიონში მხოლოდ განძაში ვარჯიშობენ თავისუფალ ჭიდაობაში?**

— მარტო ჩემს დარბაზში მიმდინარეობს საწვრთნელი პროცესი მთელი წლის განმავლობაში. თუმცა რაიონულ ცენტრშიც ფუნქციონირებს ჯგუფი, იქ გაცილებით უკეთესი დარბაზი აქვთ, მაგრამ ზამთარში არ თბება და, ფაქტობრივად, სეზონურად მუშაობენ. ჩვენს სოფელში ეს პრობლემა თავად მოვაგვარეთ, საჭიდაო ხალიჩა კი ნუგზარ სხირელმა გამოგვიგზავნა გორიდან. საერთოდ, ამ ადამიანის დიდი მადლობელი ვარ, ტურნირებში მონაწილეობაშიც გვეხმარება, სიახლეებსაც მისგან ვიგებთ, მასთან რჩევის მისაღებადაც ჩამოვდივარ ხოლმე. განძელები შედეგებით რაიონში მუდამ გამორჩეულნი ვართ. ამას წინათ ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატზე ერთადერთი ნინოწმინდელი გახდა პრიზიორი - ვარუჟან გაჯოიანი, რომელიც ჩემი შეგირდია. დღესდღეობით განძაში ოცდაათამდე მოსწავლეს ვწვრთნი.


რუბენ პოლოსიანი

**— შეჯიბრებებზე ხშირად ახერხებთ ასპარეზობას?**

— წლეულს დიდების საქართველოს ჩემპიონატშიც მივიღეთ მონაწილეობა. მართალია, პრიზიორები არ გვყოლია, მაგრამ დღესდღეობით პროვინციელი, სოფლელი ბიჭისთვის გოგშელიძისა და თუშიშვილის გვერდით გამოსვლაც მეტად მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია. გარდა ამისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც დავდივართ პირველობებზე, სამწუხაროდ, საკუთარი ხარჯებით, რადგან რაიონის ბიუჯეტიდან სპორტისთვის გამოყოფილი თანხა ძალიან მცირეა. ჭაბუკთა რამდენიმე ტურნირში სომხეთშიც გამოვედით. მომავლის დიდი იმედი გვაქვს...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი


ვიქტორ სანიკიძე

# სანიკიძეს კუნთი გაეჭიმა...

მწვრთნელ-კალათბურთელებთან ერთად ავსტრიაშია ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**. გუშინ მას შტაინბურნში დავუკავშირდით და ზოგადი შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ.

*- შეკრება ნორმალურად დაიწყო. რაც მთავარია, ყველა კალათბურთელი გუნდთანაა. არის მცირე ტრავმები, თუმცა საგანგაშო არაფერია.*

ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კმაყოფილია როგორც ნაკრების მზადებით, ასევე ახალწვეულებით - **ტორინ გრინითა** და **ქუინტონ ჰოსლით**. ზოგადი საუბრის შემდეგ მან გვითხრა, რომ გვერდში ნაკრების მეორე მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** ჰყავდა. მზადებასთან დაკავშირებული კონკრეტული კითხვებით სწორედ **იგორ კოკოშკოვის** ქართველ ასისტენტს მივმართეთ.

საუბარი საწვრთნელი პროცესით დავიწყეთ.

*- დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. გუნდი ნელ-ნელა ფორმას კრეფს, თუმცა სათანადო კონდიციებამდე ჯერ ბევრი უკლია. არც არის აუცილებელი დღესვე ოპტიმალურ ფორმაში ყოფნა - ჩვენი გათვლებით, ნაკრები სათანადო კონდიციებში 2 აგვისტოსთვის უნდა იყოს,* - გვითხრა დავით უსტიაშვილმა.

2 აგვისტოს პირველი ოფიციალური შეხვედრაა - სპორტის სასახლეში ქართველები პოლონეთის ნაკრებს უმასპინძლებენ.

ამავე გვერდზე **ანატოლი ბოისას** ინტერვიუს ნაკითხვა შეგიძლიათ, რომელშიც იგი ამბობს, რომ გუნდში ყველა ჯანმრთელადაა, სერიოზული ტრავმა არავის აქვს. წვრილ-წვრილი ტრავმები სპორტის თანამდევი ამბავია და ამისგან არც ჩვენი გუნდის კალათბურთელები არიან დაზღვეულნი.

*- ვიქტორ სანიკიძესა და მანუჩარ მარკოიშვილს მცირე ტრავმები აქვთ. მანუ აღდგენის პროცესშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. საწვრთნელ პროცესში თავიდანვე იყო ჩართული ვიქტორ სანიკიძე, თუმცა მას კუნთი დაეჭიმა და ერთი-ორი დღე დაისვენებს. ყველა სხვა კალათბურთელი მწყობრშია. 5 ივლისს შემოგვიერთდა ზაზა ფაჩულია, ხოლო 6-დან ნიკა ცქიტიშვილი დაგვემატა და მას მერე სრული შემადგენლობით ვვარჯიშობთ.*

საინტერესოა დავით უსტიაშვილის მოსაზრება ნაკრების ახალწვეულებზე, ტორინ გრინსა და ქუინტონ ჰოსლიზე.

*- ნორმალური მოთამაშეები არიან. მათი პლუს-მინუსები ამხანაგურ მატჩებში გამოჩნდება. რაც შეეხება პიროვნულ მხარეს, ქართველ კალათბურთელებთან და მწვრთნელებთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა.*

დავით უსტიაშვილს ვკითხეთ, ხომ არ გარკვეულა, რომელი ამერიკელი რომელ თამაშს ითამაშებს (შეგახსენებთ, რომ ფიბა-ს წესების მიხედვით, კონკრეტული მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებულის შეყვანაა დასაშვები). მწვრთნელმა აღნიშნა - ორივე გვჭირდება, კარგი იქნებოდა, თამაშის უფლება ორივეს ჰქონდესო...

*- ვინ რომელ მატჩში მიიღებს მონაწილეობას, ამის გარკვევა ჯერ ადრეა. ოფიციალურ შეხვედრებს ვგულისხმობ, თორემ ამხანაგურებში თითო მატჩში ორივე კალათბურთელს გამოვცდით. შტაინბურნში შეკრებას ავსტრიის ნაკრები 14 ივლისს იწყებს. ქართველები უნგრეთში სათამაშოდ 16-ში მიდიან. ორი დღის ნავარჯიშები ავსტრიელები ჩვენთან საკონტროლო შეხვედრას ნამდვილად არ ჩაატარებენო,* - გვითხრა იგორ კოკოშკოვის პირველმა ასისტენტმა.

მასთან ახალგაზრდა **თორნიკე შენგელიას** საკითხიც გავარკვიეთ...

*- საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს B დივიზიონის მატჩები ავსტრიაში ელის. თორნიკე შენგელია ახალგაზრდულ გუნდს 13 ივლისს შეუერთდება და ჯგუფური ტურნირის სამივე შეხვედრაში დაეხმარება. შემდეგ ისევ ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება და თბილისში ჩვენთან ერთად გამოემგზავრება.*

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

## ტატიშვილი პრაღის პირველობაზე

ჩეხეთის დედაქალაქში იწყება პრაღის ღია პირველობა, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ამ ტურნირში **ანა ტატიშვილი** (155) ძირითად ბადეშია, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** (156) საკვალიფიკაციოში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში თამაშზე უარი განაცხადა.

ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში 25-ათასიან ტურნირში 22 წლის **თათია მიქაძე** (371) გამოდიოდა. თათიამ მერვედფინალში ჩინელ **რან ტიანს** აჯობა - 6:3, 7:5, მაგრამ მეოთხედფინალში კიდევ ერთ ჩინელთან **სიაო ჟოუსთან** წააგო - 3:6, 6:4, 1:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**მეათე** დღეა, საქართველოს ნაკრები ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება. გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ ნაკრები ავსტრიის საკურორტო ქალაქ შტაინბურნში ვარჯიშობს. დღეს ეროვნული გუნდის ამბებს უშუალო მონაწილის მონათხრობიდან შეიტყობთ. ანატოლი ბოისას ავსტრიულ ამბებზეც ველაპარაკეთ, მისი ძმის, ვლადიმერის ჯანმრთელობაზეც და... არც მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი გამოგვრჩენია.

ინტერვიუ ანატოლი ბოისასთან

# კვირას ესპანეთს უქომაგებენ

## კოკოშკოვის ვარჯიშები სასიამოვნოცაა და დამღლელიც


ვლადიმერ ბოისა ხორვატიაში მკურნალობს

**- პირველ რიგში, ვოვას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გკითხავ.**

- იგი ტრავმირებულ მუხლს მკურნალობს. ჯერ ისევ ხორვატიაშია და იქ გადის რეაბილიტაციის კურსს. ჯერაც უცნობია, როდის მისცემენ ექიმები ვარჯიშის უფლებას.

**- ნაკრები სრული შემადგენლობით დროულად შეიკრიბა. როგორ მიმდინარეობს მზადების პროცესი?**

- ზაზაც ჩამოვიდა და ცქიტოც. ყველა გამოძახებული კალათბურთელი ავსტრიაშია და მონდომებით ვემზადებით. გვინდა, წლეულსვე ვაჩვენოთ მაქსიმუმი.

**- მეტოქეების მზადების შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

- ზოგადი ინფორმაცია გვაქვს, თუმცა ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მთავარია, ჩვენ მოვემზადოთ სათანადოდ და მოწინააღმდეგეებს შანსს არ დავუტოვებთ.

**- რთული ვარჯიშებია?**

- რა თქმა უნდა. დღეში ორჯერ შევდივართ დარბაზში. მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს კარგი ვარჯიშები აქვს, თან დამღლელი, თან სასიამოვნო. ჩვენც ვცდილობთ, მწვრთნელს ბოლომდე მივყვეთ.

**- ყველა კალათბურთელი ჯანმრთელადაა?**

- ყველა მწყობრშია.

**- ტორინ გრინი და ქუინტონ ჰოსლი როგორ შთაბეჭდილებას ტოვებენ?**

- კარგი პიროვნებები არიან. მათთან საერთო ენა იოლად გამოვნახეთ.

**- როგორი მოთამაშეები არიან?**

- კარგი კალათბურთელები ჩანან. თუმცა მხოლოდ ვარჯიშებით დასკვნების გაკეთება ძნელია. ხუთი-ხუთზე თამაშს რომ შევუდგებით, მერე უკეთ გამოჩნდება.

**- მხოლოდ ფიზიკურად ვარჯიშობთ? ბურთთან არ მუშაობთ?**

- ბურთითაც ვვარჯიშობთ, თუმცა დაცვის და შეტევის კომბინაციებს ვამუშავებთ. ერთმანეთში კალათბურთი ჯერ არ გვითამაშია.

**- ავსტრიელებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება გამოირიცხა?**

- როგორც ამბობენ, ადგილობრივებთან თამაში ვერ მოხერხდება. 17 ივლისს უნგრეთის ნაკრებს დავუპირისპირდებით, ხოლო 19-ში - სლოვაკეთისას. შემდეგ თბილისში დავბრუნდებით.

**- საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის საყურებლად თუ იცლით...**

- რა თქმა უნდა. აქტიური გულშემატკივრები ვართ.

**- ფინალში ვის ქომაგობ?**

- ესპანელებს. ვფიქრობ, სწორედ ისინი მოიგებენ. ნაკრების წევრთა უმეტესობა ესპანელთა მხარესაა, რამდენიმე ჰოლანდიას გულშემატკივრობს.

**- თავიდანვე ესპანეთს ქომაგობდი?**

- საერთოდ, იტალიის გულშემატკივარი ვარ, თუმცა... ამ ჩემპიონატზე ესპანელების თამაში ძალიან მომწონს.

ვაჟა სიმონიშვილი



ანატოლი ბოისა

საქართველოს ნაკრების მეტოქე. პორტუგალია

# ქართული პრობლემა პორტუგალიაში...

## მკაცრი სასჯელი შეკრებაზე დაგვიანებისთვის

**ჩვენი** ჯგუფის ბინადართაგან ყველაზე გვიან პორტუგალია შეიკრიბა. მწვრთნელმა **მონჩო ლოპესმა** პირველი ვარჯიში 4 ივლისს ჩაატარა. გუნდი ქალაქ რიო მარშია შეკრებილი და შესარჩევი ციკლის დაწყებამდე იქ დარჩება.

4 ივლისს პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ქართველთათვის კარგად ნაცნობი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა - შეკრებაზე არ გამოცხადდა ორი კალათბურთელი: **ფრანსისკო ჯორდაო და ნუნუ კორტესი.**

ამ ამბავმა მწვრთნელი იმდენად გააბრაზა, რომ პორტუგალიის კალათბურთის ფედერაციას ამ სპორტსმენების მოკვეთა მოსთხოვა. თავის მხრივ, საკალათბურთო შეფობამ გამოიკვლია ნუნუსა და ჯორდაოს ჩაუსვლელობის ამბავი, დაადგინა, რომ მათ არასაპატიო მიზეზები ჰქონდათ და ნაკრებიდან ორივეს მოკვეთის გადაწყვეტილება მიიღო. ასე და ამგვარად, ფრანსისკო ჯორდაო წლეულს პორტუგალიის ეროვნულ გუნდში არ ითამაშებს. ნუნუ კორტესი კი ფედერაციის წინაშე თავის გამართლებას ცდილობს: ფედერაციის პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა, სადაც დაგვიანების მიზეზებია განმარტებული. მისი ნაკრებში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ჯერ არ გარკვეულა.

- დაველაპარაკები ფედერაციის წარმომადგენლებს და მათთან ერთად გადავწყვეტ კორტესის საკითხს, - განაცხადა მონჩო ლოპესმა.

მოთამაშეთა დასჯა მწვრთნელმა თამამად შეიძლება იმიტომ ც ითხოვა, რომ ნუნუ და ფრანსისკო ნა ების ლიდერები არ არიან. პირველმა 2009 წლის ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა, ხოლო მეორეს საერთოდ არ უთამაშია.

მათ გარდა ნაკრებში ვერ ვარჯიშობენ **კარლოს ანდრადე და ჟორჟე კოელიო.** ანდრადემ ცხვირის ოპერაცია გაიკეთა, ხოლო კოელიოს ფეხის თითი ჰქონდა მოტეხილი და რეაბილიტაციას გადის. ანდრადე განვლილ შესარჩევზე პორტუგალიელთა ლიდერი იყო - საშუალოდ 10.5 ქულას და 6.2 მოხსნას აგროვებდა. კოელიოს შედარებით მოკრძალებული სტატისტიკა ჰქონდა, თუმცა 10-დან 8 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. როდის შეუერთდებიან ისინი ნაკრებს, ჯერ უცნობია.

ახლა მონჩო ლოპესს მოვუსმინოთ:

*- შეკრება კარგად დავიწყეთ. კალათბურთელებს დიდი ენთუზიაზმი ეტყობათ და ხვდებიან, რამდენ დიდი პასუხისმგებლობა აწევთ. ვმუშაობთ როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი და იმედი მაქვს, რომ გუნდური ერთიანობა ოფიციალურ თამაშებზეც აისახება. წინ ოპტიმიზმით ვიხედები და მჯერა, რომ მეტოქეთა გაოცებას შევძლებთ.*

ვიდრე პორტუგალიელებს ჩვენი ჯგუფის ბინადრები გაუოცებიათ, მოგახსენებთ, რომ ისინი შეკრებას თავიდან ბოლომდე რიო მარში გაივლიან. თუმცა სპარინგ-მატჩების ნაკლებობა არ შეაწუხებთ. 11 და 12 ივლისს ფინეთის ნაკრებთან ითამაშებენ, 18-19-ში - ისრაელთან, ხოლო 23-25 ივლისს საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებენ, რომელშიც უნგრეთი, იორდანია და ანგოლა მიიღებენ მონაწილეობას.

მწვრთნელს შეკრებაზე 15 კალათბურთელი ჰყავდა გამოძახებული, მაგრამ 4 ივლისს მხოლოდ თორმეტმა ივარჯიშა (ორ უდისციპლინოსა და ორ ტრავმირებულზე უკვე მოგახსენეთ). 15-4=11... ამ მარტივი არითმეტიკის მიხედვით, შეკრება 11 მოთამაშეს უნდა დაეწყო, თუმცა სათვალავი არ აგვრევია: მეთორმეტე კალათბურთელ **მარკო გონსალვეშს** მწვრთნელმა შეკრების წინა დღეს დაურეკა.

ბოლოს პორტუგალიის ნაკრების თორმეტკაციან შემადგენლობას გაგაცნობთ.

**უკანა ხაზი:** მარიო ფერნანდესი (მადეირა), პედრო პონტუ (ბარეირენსე), მიგელ მინავა (ბენფიკა), მარკო გონსალვეში (ხიმნასია).

**ფორვარდები:** მიგელ გრაჩა (ბარეირენსე), ხაიმე სილვა (გიმარაეში), ჟოაო გომეში (ბროგანი, ესპანეთი), ჯოაო სანტოსი (ბენფიკა), ჰეშიმუ ევანსი (ბენფიკა).

**ცენტრები:** მიგელ მირანდა (ოვარენსე), დავიდ გომესი (პორტუ), ანდრე პინტუ (ოვარენსე).

ვაჟა სიმონიშვილი



სპორტი და ხელოვნება

შაბათის სტუმარი

ოთარ მეღვინეთუხუცესი

# ამ ჩემპიონატმა დამარწმუნა, რომ ფეხბურთის დონემ ძალიან აიწია...



**რამდენიმე წლის წინათ სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთა ერთ-ერთ შეხვედრას დავესწარი. სახელოვან ოსტატთა წრეში საქართველოს სახალხო არტისტს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის, საქართველოს და ყოფილი საბჭოეთის სახელმწიფო პრემიების ლაურეატ ოთარ მეღვინეთუხუცესს მოვკარი თვალი.**

— ბატონო ოთარ, ფეხბურთი გყვარებიათ-მეთქი, — ვუთხარი მეუღლესთან ერთად განმარტოებით მდგარს.

— ფეხბურთიცა და ფეხბურთელებიც. აი, **სიომა ბარქაიასთან** ოჯახებით ვმეგობრობთ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, სოხუმში რომ ვცხოვრობდით. **მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ გუცაევი...** რომელი ერთი ჩამოვთვალო. აბა, 1964 და 1981 წლებს რა დამავიწყებს: მთელმა ერმა როგორი ზეიმით აღნიშნა „დინამოს" მაშინდელი გამარჯვებები. მართლა მიყვარს ფეხბურთი და მისი დიდი ქომაგიც ვარ...

— ეს მე მკითხეთ, — ჩაერია საუბარში ქალბატონი **გურანდა გაბუნია**, — უწინ დილომში ვცხოვრობდით პირველ სართულზე. ოთარი ფეხბურთის საყურებლად ტელევიზორს რომ ჩართავდა, გარეთ გამოვდიოდი და ეზოში ვიჯექი მატჩის დამთავრებამდე, რომ მეზობლებს არ ეფიქრათ, ეს კაცი ცოლს ეჩხუბებაო...

გუშინ რატომღაც ეს ეპიზოდი გამახსენდა და ბატონ ოთარს შევეხმიანე — სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატს, თქვენი აზრით, დათა თუთაშხია როგორ შეაფასებდა-მეთქი, ვკითხე.

— აბა, რა გითხრათ. ისეთი პირველობები გვინახავს, ნამდვილად ვერ ვიტყვი, ვგიჟდებოდე. დათა თუთაშხიასი არ იყოს, სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს, მაგრამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: ეს რა შეცდომებს უშვებენ მსაჯები. ერს სიხარულს სტაცებენ, რაც დანაშაულად მიმაჩნია კაცობრიობის წინაშე. ფიფამ და უეფამ რაღაც უნდა იღონონ, ასეთი რამ რომ არ განმეორდეს. ამ ჩემპიონატმა დამარწმუნა, რომ მსოფლიოში ფეხბურთის საერთო დონემ ძალიან აიწია. ლამის არის, ფავორიტ-აუტსაიდერს შორის ზღვარი წაიშალოს და კენჭისყრა კალათების მიხედვით აღარც გახდეს საჭირო.

— ფინიშამდე ორი პაექრობა დარჩა. როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?

— ესპანეთი გერმანიასთან მატჩამდე იმ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, როგორიც ეს ევროპის ჩემპიონატზე შეძლო. აი, ნახევარფინალში კი სულ სხვა გუნდად მოგვევლინა, იმის მიუხედავად, რომ ტორესი არ ჰყავთ ფორმაში. ამ ჩემპიონატზე სიახლის შემომტან ლიოვის შეგირდებს პირენეელებმა ყველა კომპონენტში აჯობეს. საცოდაობაც კია, რომ ალემანები დამარცხდნენ, რადგან დღევანდელი ფეხბურთის განვითარების გერმანული ტენდენცია ესპანელთა გამარჯვებამ, შესაძლოა, დაამუხრუჭოს, როგორც ეს მოხდა 1982 წელს. მაშინ იტალიის გაჩემპიონებით „სკუადრა აძურას" დაცვიდან კონტრშეტევითმა ფეხბურთმა ზიკოს და მისი თანაგუნდელების კომბინაციური ფეხბურთი გარკვეულწილად ჩაძირა. 1974-1978 წლებში ჰოლანდია უნდა გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ნიდერლანდელებმა ორივე ფინალური მატჩი წააგეს. საბედნიეროდ, მარცხმა მაშინ ტოტალური ფეხბურთი ვერ ჩაახშო. კარგი იქნება, დღესაც იგივე თუ გამეორდება. რაც შეეხება ფინალს, ალბათ, ესპანეთი გაიმარჯვებს, ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს. მართალია, ამ მხრივ, ჰოლანდიაც არ ჩამორჩება, მაგრამ ევროპის ჩემპიონებს მეტი იმპროვიზაციის უნარი აქვთ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი, გერმანელებს მოტივაცია კიდევ თუ შერჩათ, ურუგვაელების დამარცხება არ გაუჭირდებათ.

**— ბატონო ოთარ, სპორტთან ჭაბუკობიდანვე ყოფილხართ გაშინაურებული...**

— ჩემი პროფესიის ადამიანისთვის სპორტი განუყოფელი თანამგზავრია. ბავშვობიდან აქტიურად ვიყავი ჩაბმული სხვადასხვა სახეობაში. მოსწავლეობისას კრივზე დავდიოდი. თანატოლებზე საგრძნობლად მაღალს გრძელი ხელები მქონდა, რითაც ადვილად ვჯაბნიდი მეტოქეებს. შესაძლოა, ურიგო შედეგებიც არ მომეპოვებინა, მაგრამ მაჯის ტრავმა მივიღე და იძულებული გავხდი, ტყავის ხელთათმანები გვერდზე გადამედო. ცურვაშიც ვცადე ბედი. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატი ვიყავი. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ფარიკაობამ გამიტაცა, გრძელ დისტანციებზეც დავრბოდი. სასწავლებლის სახელით თბილისის პირველობებზეც მივსპარეზია.

**— სპორტში მიღებული წრთობა ქუჩაში თუ გამოგიყენებიათ?**

— ჩხუბი არ მიყვარს; ამიტომ ქუჩურ კონფლიქტებს ყოველთვის ვერიდებოდი, თუმცა ზურგი არავისთვის მიჩვენებია. სცენაზე და კინოში კი სპორტი ბევრჯერ დამეხმარა. მახსოვს, „დათა თუთაშხიაში" ციხიდან გაქცევის ეპიზოდს ვიღებდით. მტკვარი ტივით უნდა გადაგვეცურა. იმ დღეს ნოდარ მგალობლიშვილი შეუძლოდ გახდა. იგი ერთმა მუშამ შეცვალა. ტივზე პირქვე



დავაწვინეთ. მდინარეში შევცურეთ თუ არა, ჩქარმა დინებამ გაგვიტაცა. ნაპირიდან დაგვიძახეს, კადრი გადაღებულია. ტივს ხელი ვუშვით და ის იყო, უკან უნდა გამოგვეცურა, ნოდარის დუბლიორმა იყვირა, ნუ მიმატოვებთ, ცურვა არ ვიციო. მე და ერთმა ახალგაზრდა გორელმა მსახიობმა იმდენი ვიწვალეთ, რომ ტივი ძლივს გამოვტაცეთ ჩქარ დინებას. კარგი ცურვა რომ არ გვცოდნოდა, შესაძლოა, ის კაცი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.

— „ფატიმა", „ტარიელ გოლუა", „მთვარის მოტაცება", „დიდოსტატის მარჯვენა", „დათა თუთაშხია" — აი, **არასრული სია იმ ფილმებისა, რომლებშიც თქვენი გმირები უმთავრესად ცხენებთან არიან დაკავშირებული. მხედრობა როდის ისწავლეთ?**

— კინოსტუდიის თავლაში ერთხელ საოცარ ფაქტს შევესწარი: ბიჭები ღვინოს სვამდნენ. ერთ-ერთმა ჭიქა ასწია და „ნეპოკორნის", „ატამანსა" და „ლურჯას" გაუმარჯოსო, თქვა. რომ გავიგე, ცხენებს ადღეგრძელებდნენ, ძალიან გამიკვირდა. მერე მივხვდი, რამხელა სიყვარული სცოდნია ცხენს. უცნაური ცხოველია ეგ დალოცვილი. ერთგულებაც იცის და სიყვარულიც. ბედაურებთან „ფატიმამ" დამაკავშირა. ფილმის გადაღებისას „ნეპოკორნი" შევიჩვიე ხელზე, შაქარს ვაჭმევდი. შორიდანვე გრძნობდა ჩემს მიახლოებას და ჭიხვინით იკლებდა საჯინიბოს. შესვენებისას ძაღლივით უკან დამდევდა.

„დიდოსტატის მარჯვენაში" „ატამანზე" ვიჯექი. მართლაც, ატამანი იყო ის დალოცვილი, ბედაურებში გამორჩეული. ისეთი ჩხუბი იცოდა, ვერც ერთი ულაყი ვერ უმკლავდებოდა. ერთხელ, მახსოვს, „ატამანმა" ფაშატზე მჯდარი მხედარი გადმოსვა ძირს... პო, რა გიკვირთ, ზურგში კბილები ჩაველო და ძირს ჩამოსვა, თავად კი ფაშატს მიუალერსა. ხომ ასეთი ძლიერი და მოუხელთებელი იყო, შიშის გრძნობაც ჰქონია. ხომ გახსოვთ „დიდოსტატის მარჯვენაში" ნადირობის სცენა. განვრთნილი ავაზები რომ ვერ ვიშოვეთ, ვეფხვებით შევცვალეთ ისინი. იმ დროს სოჭში საგასტროლოდ იყო ვეფხვების მომთვინიერებელი ნაზაროვა. ნადირობის სცენის გადაღება მწვანეში ჩაფლული ერთ-ერთი სანატორიუმის ეზოში გადავწყვიტეთ. ცხენებზე ამხედრებულნი ველოდით ნაზაროვას მოსვლას. მანქანები რომ გამოჩნდნენ საბარგულებზე ვეფხვებიანი გალიებით, ბედაურებმა ვერხვის ფოთოლივით ცახცახი დაიწყეს. მათ ხომ ეს ცხოველი ცხოვრებაში არ ენახათ. ეტყობა, ინსტინქტით ან ყნოსვით იგრძნეს დიდი საფრთხე.

რადგან სოჭის ამბებს შევეხე, იმ ეპიზოდსაც მოგიყვებით, როგორ გადავურჩით ნაზაროვას „შეგირდებს": გირშელსა და მეფე გიორგიზე „ვაჟკაცი" შორენა აღმოჩნდა. იგი ერთ-ერთ ვეფხვს მიუახლოვდა, რომელიც ელვის სისწრაფით აიტოტა ქალის წინ და ტორები მხრებზე დაადო, ნესტოები ცხვირთან მიუტანა. შორენას როლის შემსრულებელი ლალი ბადურაშვილი ადგილზე გახევდა. უბედურების მოლოდინში ყველას სუნთქვა შეგვეკრა. მომთვინიერებლებმა სროლა ატეხეს, რომ ნადირის ყურადღება მიეპყროთ. ნაზაროვას მეუღლე კონსტანტინოვსკი ვეფხვს მიუახლოვდა, ყელზე საბელი შეაბა და ლალის მოაშორა. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. ერთ-ერთმა დამსვენებელმა ლალის ჭიქით წყალი მიურბენინა. მან კი გაიღიმა და ჩემს ქმარს მიართვითო, უთხრა. ყველას სიცილი წაგვსკდა... კიდევ კარგი, რომ ლალიმ შიშის გამო ნაბიჯი ვერ გადადგა, თორემ სატირლად გაგვიხდებოდა საქმე.

**— სპორტთან ახლაც თუ მეგობრობთ?**

— სანამ ასაკი და ჯანმრთელობა ხელს მიწყობდა, კუს ტბაზე ავდიოდი, მტკვრის სანაპიროზე დავრბოდი, ზოგჯერ ტრენაჟორებზეც ვვარჯიშობდი, რადგან, ვიმეორებ, ისეთი როლების შესრულება მიხდებოდა, უსპორტოდ, ფიზიკური წრთობის გარეშე ფონს ვერ გავიდოდი.; ახლა კი რა დროს ჩემი სირბილია, სადაცაა, რვა ათეულს მივუკაკუნებ. დილის გამამხნევებელ ვარჯიშებსა და ფეხით სიარულს ვჯერდები. ჯანმრთელობისთვის ესეც მეყოფა.

ვაჟა დანელია

---

შვიდკაცა რაგბი

დღეს ევროშვიდკაცაა

## ფავორიტებთან ჯახით ვიწყებთ

დღეს და ხვალ მოსკოვის „ლუჟნიკების" მცირე არენაზე გაიმართება ევროპის მე-9 ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბიში. 11 ნაკრებთან ერთად ტიტულისთვის საქართველოს ნაკრებიც იბრძოლებს **კახა ალანიას** თავკაცობით. გუნდები ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი, საიდანაც 2-2 საუკეთესო ჩემპიონობისთვის გააგრძელებს ბრძოლას. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა, სადაც მასპინძლები, პორტუგალიელები, პოლონელები, მოლდოველები და იტალიელები არიან. ერთი შეხედვითაც ცხადია, მეტად რთული ჯგუფია. B ჯგუფში მოხვდნენ, უკრაინა, რუმინეთი, ჰოლანდია, ლიტვა, საფრანგეთი და ესპანეთი.

ჩვენს ნაკრებს გრაფიკიც ურთულესი აქვს, იწყებს ორ ყველაზე ძლიერ ნაკრებთან თამაშით. პირველ მატჩს ალანიას გუნდი 11 საათზე პორტუგალიასთან გამართავს, მეორეს კი მასპინძელთა ნაკრებთან, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონია. შემდეგ კი პოლონეთს, მოლდოვას და იტალიას ვეთამაშებით. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის ყველა თამაში, გარდა იტალიასთან დაპირისპირებისა, დღესვე მოესწრება.

ჩვენი ნაკრები რუსეთის დედაქალაქში ამ შემადგენლობით ითამაშებს: **1. სიმონ მაისურაძე, 2. ბესიკ ხამაშურიძე, 3. მალხაზ ურჯუკაშვილი, 4. დავით ჩიტიძე, 5. გიორგი კალმახელიძე, 6. ბიძინა სამხარაძე, 7. მერაბ კვირიკაშვილი, 8. გიორგი შკინინი, 9. ირაკლი გეგენავა, 10. ირაკლი აბუსერიძე.**

შეგახსენებთ, რომ შვიდკაცა რაგბი 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი, ასე რომ, ჩვენში შვიდკაცას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. არადა, შედეგები უკვე აღარ გვაქვს ისეთი კარგი, როგორც საწყის წლებში. 2005 წლის შემდეგ ნაკრებს შვიდკაცას სერიის ეტაპიც კი არ მოუგია. ახლაც, არცთუ მცირე ოფლისღვრით გავაღწიეთ ფინალურ ეტაპზე. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველივე წელს იყო ჩემპიონობასთან ახლოს, მაგრამ 2002 წელს ჰაიდელბერგში ფინალი პორტუგალიის ნაკრებთან 14:24 წააგო. ჯერჯერობით მაშინ მოპოვებული მე-2 ადგილი ჩვენი უდიდესი მიღწევაა. ქართული შვიდკაცა ორჯერ შეწვდა ბრინჯაოს მედლებს, 2003 და 2008 წლებში, ყველაზე ცუდი შედეგი კი 2005 წელს გვქონდა, როცა მე-10 ადგილი დავიკავეთ. 2002 წლის მერე პორტუგალიის ნაკრებმა 6-ჯერ იპირველა და მხოლოდ ორჯერ დაუთმო მთავარი ჯილდო რუსეთის გუნდს, ბოლოს ეს შარშან მოხდა.

ყველა ჩემპიონატი

| წელი | ქვეყანა | ჩემპიონი |
|---|---|---|
| 2002 | გერმანია | პორტუგალია |
| 2003 | გერმანია | პორტუგალია |
| 2004 | ესპანეთი | პორტუგალია |
| 2005 | რუსეთი | პორტუგალია |
| 2006 | რუსეთი | პორტუგალია |
| 2007 | რუსეთი | რუსეთი |
| 2008 | გერმანია | პორტუგალია |
| 2009 | გერმანია | რუსეთი |

ნიკოლოზ ნეფარიძე





www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA

# ლი მეომრებში, ო'ნილი ბოსტონში

ლებრონის გადაწყვეტილების ფონზე სატრანსფერო ბაზართან დაკავშირებული სხვა ამბები ჩრდილში მოექცა, მაგრამ მათზე მაინც უნდა ვთქვათ ორი სიტყვით.

„ნიუ იორკ ნიქსმა" და „გოლდენ სტეიტ უორიორზმა" გაცვლის შესახებ მოილაპარაკეს. „მეომრების" რიგებში sign-and-trade-ის პრინციპით „ნიქსის" ცენტრი **დევიდ ლი** გადავა, „ნიუ იორკი" კი ამის სანაცვლოდ სამ კალათბურთელს მიიღებს - მცველ **კელენა აზუბუიკეს**, ფორვარდ **ენტონი რენდოლფსა** და ცენტრ **რონი ტურიაფს**.

„მაიამის" ტოვებს ცენტრი **ჯერმეინ ო'ნილი**. 31 წლის კალათბურთელმა „ბოსტონ სელტიქსთან" შეთანხმებას მიაღწია. მხარეები ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ, რომლის მიხედვითაც ჯერმეინი 12 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. გასულ სეზონში ო'ნილი საშუალოდ 13.6 ქულას და 6.9 მოხსნას აგროვებდა.

ლიტველმა ფორვარდმა **ლინას კლეიზამ** განწყვიტა კონტრაქტი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან" და ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა „ტორონტო რეპტორზთან". კონტრაქტის საერთო თანხა 20 მილიონ დოლარს შეადგენს.

ლიტველი შეზღუდული თავისუფალი აგენტი გახლავთ. მასზე უფლებება „დენვერ ნაგეტსი" ფლობს და თუ NBA-ში მოქმედი წესების თანახმად ეს კლუბი „ტორონტოს" მსგავს პირობებს შესთავაზებს კლეიზას, ფორვარდი სწორედ „ნაგეტსში" გააგრძელებს კარიერას.

დაბოლოს, გაირკვა, რომ „ნიუ ჯერსი ნეტსის" პირველი ახალწვეული ფორვარდი **თრევის აუთლო** გახდება, რომელიც პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. კალათბურთელი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის საერთო ღირებულება 35 მილიონი დოლარი იქნება.

აუთლომ გასული სეზონის პირველი ნაწილი „პორტლენდში" გაატარა, სადაც საშუალოდ 9.9 ქულასა და 3.5 მოხსნას აგროვებდა. ამის შემდეგ ის „ლოს ანჯელეს კლიპერსის" რიგებში გადავიდა და იქ შედეგიანობა დაეცა - 8.7 ქულა.





# ლებრონი: მაიამიში მივდივარ

**ლებრონ ჯეიმსმა** სატრანსფერო ეპოპეა ტელეგამოსვლით დაასრულა. წინასწარ დათქმულ დღესა და საათზე „მეფე" ტელეარხ ESPN-ზე გამოჩნდა და შემდეგი განაცხადა:

*„შეგნებულად ავირჩიე ეს გზა - გავხდი თავისუფალი აგენტი, მოვისმინე გუნდების წინადადებები და მათ შორის საუკეთესო ვარიანტზე შევაჩერე არჩევანი. შესანიშნავი გამოცდილება მივიღე. ახალი გუნდის არჩევის პროცესი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა.*

*საბოლოო გადაწყვეტილება დღეს დილით მივიღე. მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის. თუმცა მანამდე ყოველ დილით ვცვლიდი გადაწყვეტილებას და სხვადასხვა გუნდთან ერთად „ვილვიძებდი". დედაჩემთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა, მას საკუთარი გადაწყვეტილება ავუხსენი. მან ეს მშვიდად მიიღო. გლორია გრძნობს, რომ ეს ნაბიჯი მის შვილს ბედნიერებას მოუტანს.*

*გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი ფაქტორი იყო გამარჯვების მოპოვების შანსი. ტრიუმფი დღეს და მომავალშიც. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას ამბობდნენ, რომ მე გამარჯვებისთვის ვარ შექმნილი. ამიტომაც ეს არჩევანი ახალი მწვერვალების დაპყრობის მიზნით გაკეთდა.*

*„მაიამიში" გადავდივარ - ეს არის საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც ამ დილას მივიღე. მინდა მატჩებისა და სეზონების მოგება. იქ ორი დიადი მოთამაშე დამხვდება - დუეინ უეიდი და კრის ბოში. ვფიქრობ, ისინი დამეხმარებიან ოცნების ასრულებაში. ამ ზაფხულს „მაიამის" მენეჯმენტმა ყველაზე უკეთ იმუშავა.*

*ჩემი გული სამუდამოდ დარჩება „კლივლენდში". ეს ჩემთვის ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო. მე „კლივლენდიდან" არ მივდივარ - უბრალოდ, გადავდივარ უფრო ძლიერ გუნდში დიდი წარმატების მისაღწევად. პატივს ვცემ ერიკ სპოელსტრას, რომელიც ჩემი ახალი მწვრთნელი იქნება. გარკვეულ მომენტებში გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება არ იქნებოდა".*

მაშ ასე, „კლივლენდში" ლებრონ ჯეიმსის ეპოქა დასრულდა, რომელიც საუკეთესო იყო კლუბის ისტორიაში. კალათბურთელმა ვერ გაუძლო ცდუნებას და ფლორიდაში ორი მეგობრის - **დუეინ უეიდისა და კრის ბოშის** მხარდამხარ თამაში გადაწყვიტა, რომლებმაც ლებრონამდე ერთი დღით ადრე გადაწყვიტეს „ჰიტთან" კონტრაქტებს გაფორმება. კალათბურთელისთვის ეს არის შანსი, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. ასეთი ფანტასტიკური ტრიოს ერთად ხილვა განსაკუთრებულ შემთხვევებშია შესაძლებელი - მაგალითად მაშინ, როცა ამერიკის ეროვნული ნაკრები იკრიბება. მაგრამ, როცა სპორტული ფორმის პიკზე მყოფი სამი სუპერვარსკვლავი ერთ კლუბში ერთიანდება - ეს მართლაც ფანტასტიკურია. „ფლორიდური სასწაულის" ფონზე ბოსტონური ექსპერიმენტიც (**გარნეტი-პირსი-ალენი**) კი ფერმკრთალდება.

ახლა ერთი რამ აბსოლუტურად ცხადია: ლებრონი არამარტო ბრწყინვალე პარტნიორებს, არამედ დიდ რისკსაც მიიღებს. თუ „მაიამი" უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩემპიონობას ვერ მოიგებს, ყველაფერი სწორედ „მეფეს" დაბრალდება, რომელსაც აუცილებლად „გუნდის დამღუპველის" იარლიყს მიაწებებენ.

ამასთან, დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევს „მაიამის" მენეჯმენტს. სამი ვარსკვლავი გაიფორმეს და ეს მშვენიერია, მაგრამ დანარჩენი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად ფული ძალიან ცოტა დარჩა. ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შექმნა იმ ადამიანებისგან მოუწევთ, რომლებიც სერიოზულ ფინანსურ დათმობაზე წავლენ.

უკვე გაირკვა, რომ კლუბი ველარ დააკმაყოფილებს თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის - **მაიკლ ბიზლის** ფინანსურ მოთხოვნებს. ამიტომაც „მაიამის" ხელმძღვანელობამ კალათბურთელის „მინესოტა ტიმბერვულვზში" გაშვება გადაწყვიტა, სანაცვლოდ კი 2011 წლის დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო. ბიზლი 2008 წლის დრაფტის მეორე ნომერია. შარშან მან რეგულარულ ჩემპიონატში 78 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.8 ქულა და 6.4 მოხსნა დააგროვა.

ლებრონ ჯეიმსის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა „კლივლენდის" მფლობელი **დენ გილბერტი**: *„როგორც იცით, ჩვენი ყოფილი გმირი, რომელიც აქ გაიზარდა, აღარ გახლავთ „კლივლენდ კავალიერზის" ნაწილი. ის ნამდვილი ნარცისივით მოიქცა - საკუთარი თავის რეკლამისთვის ტრანსფერის შესახებ ტელევიზიით გამოაცხადა. ბუნებრივია, იმედგაცრუებული ვართ მისი ასეთი საქციელით".*

ლებრონის ტელეინტერვიუს შემდეგ „კლივლენდის" გულშემატკივრებმა ქუჩაში დემონსტრაციულად დაწვეს ყოფილი კერპის მაისურები.





### მეფეს მამა არ სჭირდება

ვინმე **ლესტერ ბრაის სტოველი** სასამართლოს ძალით აპირებს **ლებრონ ჯეიმსის** მამობის დამტკიცებას. საინტერესოა, აქამდე სად იყო 55 წლის მამაკაცი და მხოლოდ ახლა რატომ იპოვა მსგავსება NBA-ის უპირველეს ვარსკვლავთან?

ეს ისტორია 1984 წელს დაიწყო, როცა ვაშინგტონის ერთ-ერთ ბარში 29 წლის ლესტერმა 15 წლის **გლორია** გაიცნო. მათ შორის ურთიერთობა ისე სწრაფად განვითარდა, რომ იმავე ღამეს ჩაისახა „მაიამი ჰიტის" ახალი ლიდერი. ლესტერმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გააცნობიერა, რომ ღამე არასრულწლოვანთან გაატარა.

ლებრონის პოტენციური მამის განცხადებით, ბოლოს მან გლორია 20 წლის წინ ნახა. 2007 წელს ის უშედეგოდ ცდილობდა ბოლო ორი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელის დედასთან შეხვედრას, ერთხელ კი გლორია ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა, თუ ის თავს არ დაანებებდა დედასა და შვილს. *„ჩემი ვაჟის ფული მას თავისი შვილებისთვის სჭირდება"*, - განაცხადა მაშინ განრისხებულმა გლორიამ.

ცოტა ხანში ლესტერს დნმ-ის ტესტის შედეგები გააცნეს, რაც უარყოფდა მის თეორიას, მაგრამ სტოველი მაინც არ დაწყნარდა. *„მათ გააყალბეს დნმ-ის ტესტი*, - ამბობს მამაკაცი. - *ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს, სიმაღლეც კი ერთნაირი გვაქვს. უბრალოდ გლორიას არ სურს ლებრონის იმიჯის შელახვა".* საპასუხოდ, ჯეიმსებმა ლესტერს სასამართლოში უჩივლეს და ტყუილის სანაცვლოდ მისგან 4 მილიონ დოლარს ითხოვენ.

სხვათა შორის, სტოველი ლოთი და ნარკომანი არ გახლავთ. მან პრინსტონის უნივერსიტეტი დაამთავრა, ხოლო ჩიკაგოს უნივერსიტეტში (სადაც 90-იან წლებში ლექციებს კითხულობდნენ ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** და მისი მეუღლე - **მიშელი**) იურისპრუდენციაში ხარისხი მიიღო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

ჩოგბურთი

## რეკორდი ბრიუსელში

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში საინტერესო საჩვენებელი მატჩი გაიმართა ადგილობრივ ჩოგბურთელ **კიმ კლაისტერსსა** და ამერიკელ **სერენა უილიამსს** შორის. ამ შეხვედრაში დამყარდა ჩოგბურთში დასწრების ყველა დროის რეკორდი, რომელიც 1971 წლიდან იყო ძალაში. მაშინ ამერიკის ქალაქ ჰიუსტონში **ბილი ჯინ კინგისა და ბობი რიგსის** მატჩს 30 472 ადამიანი დაესწრო.

ამჯერად ბრიუსელის დარბაზს 35 681 გულშემატკივარი ესტუმრა. მათ გასახარად კლაისტერსმა შეძლო უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონის დამარცხება - 6:3, 6:2. საინტერესოა, რომ მთავარი არბიტრის ფუნქციებს ლეგენდარული ამერიკელი **მარტინა ნავრატილოვა** ასრულებდა.

## ნადალი იოჰანესბურგში მიდის

ხვალ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** დაესწრება. გადამწყვეტ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრები ჰოლანდიას დაუპირისპირდება.

რამდენიმე დღით ადრე უიმბლდონის ჩემპიონმა განაცხადა, რომ უახლოეს სამ კვირას მუხლების მკურნალობას დაუთმობს, რის გამოც ვერ შეძლებს სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ესპანეთმა გერმანიას ნახევარფინალში მოუგო, ნადალმა გადაწყვეტილება შეცვალა და თვითმფრინავის ბილეთები შეუკვეთა.

ფინალური მატჩი 11 ივლისს იოჰანესბურგში გაიმართება.

ჰოკეი

## ვანკუვერმა ნესლუნდი დააფასა

„ვანკუვერ კენაქსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სამუდამო მფლობელობაში გადასცეს 19-ნომრიანი მაისურა შვედ ფორვარდ **მარკუს ნესლუნდს**, რომელიც კანადურ კლუბში 1996-2008 წლებში თამაშობდა.

სკანდინაველი ჰოკეისტის მაისურას „ვანკუვერის" საშინაო არენის თაღზე დაკიდებენ. „კენაქსში" ასპარეზობის პერიოდში ნესლუნდმა 346 შაიბა გაიტანა და 410 შედეგიანი პასი შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა — ბრილიანტის ლიგა

# ბოლტს ტრავმაც არ აშინებს

„ბრილიანტის ლიგა" ამერიკიდან ევროპაში დაბრუნდა, სადაც სეზონის ბოლომდე დარჩება. შვეიცარიის ლოზანის სარბენმა ბილიკმა ამჯერადაც არ გაუცრუა იმედები მძლეოსნობის მოყვარულებს - მეშვიდე ეტაპზე არაერთი მაღალი შედეგი დაფიქსირდა და უგანდა, ჰოლანდიის ანტილები და მაროკო ახალი ეროვნული რეკორდებით გაახარა.

საღამოს მთავარი ნაწილი, რის გამოც სტადიონზე ანშლაგი შედგა, მამაკაცთა სპრინტი იყო. მსოფლიოს რეკორდსმენმა **უსაინ ბოლტმა** მოირჩინა აქილევსის მყესის ტრავმა, თუმცა ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლად ექიმებმა იამაიკელს 200 მეტრის ნაცვლად 100 მეტრზე გარბენა ურჩიეს. ამიტომაც მთელი ყურადღება მოკლე სპრინტისკენ იყო მიპყრობილი.

ლოზანაში ბოლტის მთავარი მეტოქეები არ გამოდიონენ, თუმცა მალე პარიზში უსაინს თანამემამულე **ასაფა პაუელთან** მოუწევს შერკინება. ბოლტმა განაცხადა, რომ წაგების შემთხვევაში ტრავმას არ გაიხსენებს და გულწრფელად მიულოცავს მეტოქეს გამარჯვებას, ასაფამ კი აღნიშნა, რომ აქამდე იოლად იგებდა ყველა დისტანციას, მაგრამ ტემპის მომატების შესაძლებლობა გააჩნია.

მანამდე კი ბოლტმა ლოზანაში ძალიან იოლად გაირბინა 100 მეტრი და წამზომი 9.82 წამზე შეაჩერა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა. ასე სწრაფად აქამდე მხოლოდ პაუელმა ირბინა. ბოლტმა აღიარა, რომ სტარტის წინ ნერვიულობდა და დასაწყნარებლად ხელმეორე მოთელვის ჩატარება მოუხდა.

რაც შეეხება გრძელ სპრინტს, აქ საინტერესო იქნებოდა ბოლტისა და ამერიკელ **უოლტერ დიქსის** დუელი. წინა ეტაპზე დიქსმა ამ დისტანციაზე სახელოვანი თანამემამულე **ტაისონ გაი** დაამარცხა, ამჯერად კი უკონკურენციოდ იყო და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა - 19.86 წამი.

ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე ბრწყინვალე ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა** ასევე სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 4.57 წამი, თუმცა **მაიკლ ჯონსონის** „მუდმივ" რეკორდამდე ჯერემის ჯერ ბევრი უკლია. შეგახსენებთ, რომ 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდი 1999 წლის 26 აგვისტოს სევილიაშია დამყარებული და ის 43.18 წამს უდრის.

მამაკაცებს შორის ასევე უნდა აღვნიშნოთ 1500 მეტრზე **ნიკოლას კემბოის** და სტიპლჩეზში **ბრიმინ კიპრუტოს** გამოსვლა - კენიელებმა სეზონისა და ტურნირის რეკორდები დაამყარეს. შუბის ტყორცნის სექტორში მაყურებელმა ისევ იხილა ნორვეგიელი **ანდრეას ტორკილდსენისა** და ფინელი **ტერო პიტკამიაკის** დაპირისპირება. ამჯერადაც გამარჯვება ნორვეგიელს დარჩა, ოღონდ ოდნავ მოკრძალებული შედეგით - 87.03 მეტრი.

კვლავ არ არის ფორმაში ჭოკით ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი **სტივ ჰუკერი**. ავსტრალიელმა წელს მესამე დუელი წააგო ფრანგ **რენო ლავილენიესთან**. ამ ორ მხტომელს შორის მეტად საინტერესო ტაქტიკური ბრძოლა წარიმართა. თავიდან ჰუკერმა 5.80 მეტრი აიღო და 5.90 შეუკვეთა, ფრანგმა კი 5.70-ის შემდეგ თამასა 15 სანტიმეტრით ასწია და გამოიცნო. ლავილენიემ სიმაღლე მესამე ცდაზე დაძლია, ჰუკერმა კი ვერ აიღო 5.90. ფრანგმა გამარჯვებულის რანგში იერიში მიიტანა 6.02 მეტრზე, მაგრამ სამივე ცდა გააფუჭა.

ქალებმა იმ დღეს სამჯერ დააფიქსირეს სეზონის საუკეთესო შედეგი. **გელეტე ბურკამ** (3.59,28), **ვივიან ჩერუიომ** (8.34,28) და **იარგელის სავინიემ** (14.99) თავი გამოიჩინეს 1500, 3000 მეტრსა და სამხტომში.

ბრილიანტის ლიგის მომდევნო ეტაპი დღეს გაიმართება. ამჯერად მძლეოსნები ბრიტანეთის ქალაქ გეიტსჰედში შეიკრიბებიან.

■ ■ ■

სანამ მძლეოსნები კომერციულ სერიაში არკვევენ უძლიერესებს, მეტად უსიამოვნო ამბავი შეემთხვა 100 მეტრზე პეკინის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონს - იამაიკელ **შელი-ენ ფრეზერს**. მისმა ბოლო დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. სპრინტერი მაისში შანხაის ტურნირის დროს შეამოწმეს, სადაც ფრეზერმა 11.29 წამით მეორე ადგილი დაიკავა.

როგორც სპორტსმენის წარმომადგენელი ამბობს, იამაიკელის სხეულში აკრძალული პრეპარატი, შესაძლოა, იმ დროს მოხვდა, როცა სპორტსმენი კბილის ტკივილის გამაყუჩებელ წამალს იღებდა. ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელი ელოდება ფრეზერს ამ დარღვევისთვის.

იამაიკელმა სპრინტერმა პეკინის ოლიმპიადა 10.78 წამით მოიგო, ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი 10.73 წამი აჩვენა.

### VII ეტაპი. ლოზანა (შვეიცარია)

**კაცები**

100 მ. 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9,82 (სეზონის რეკორდის გამეორება, ტურნირის რეკორდი); **200 მ.** 1. უოლტერ დიქსი (აშშ) - 19,86; **400 მ.** ჯერემი უორინერი (აშშ) - 44,57 (სეზონის ლიდერი); **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.43,25; **1500 მ.** 1. ნიკოლას კემბოი (კენ) - 3.31,52; **110 მ/თარჯრბენი.** 1. დაირონ რობლესი (კუბ) - 13,01; **400 მ/თარჯრბენი.** 1. ბერშოუნ ჯექსონი (აშშ) - 47,62; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. ბრიმინ კიპრუტო (კენ) - 8.01,62 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ივან უხოვი (რუს) - 2,33 (სეზონის რეკორდის გამეორება); **ჭოკით ხტომა.** 1. რენო ლავილენი (საფ) - 5,85; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 87,03.

**ქალები**

100 მ. 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 10,99; **400 მ.** 1. დები დანი (აშშ) - 49,81; **1500 მ.** 1. გელეტე ბურკა (ეთი) - 3.59,28 (სეზონის ლიდერი); **3000 მ.** 1. ვივიან ჩერუიო (კენ) - 8.34,58 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **110 მ/თარჯრბენი.** 1. პრისცილა ლოპეს-შლიპი (კან) - 12,56; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბრიტნი რისი (აშშ) - 6,94; **სამხტომი.** 1. იარგელის სავინიე (კუბ) - 14,99 (სეზონის ლიდერი); **ბადროს ტყორცა.** 1. იარელის ბარიოსი (კუბ) - 65,92.




ველოსპორტი — ტურ დე ფრანსი 2010

# ახალგაზრდების რევანში

როგორც იქნა, ტურ დე ფრანსზე ტრავმიანობამ იკლო და სპრინტერებს თავიანთი ოსტატობის გამოვლენის საშუალება მიეცათ. წინა ეტაპზე ვეტერანებმა ახალგაზრდებს ერთგვარი მასტერკლასი ჩაუტარეს: 36 წლის **ალესანდრო პეტაკი** პირველი მივიდა ფინიშთან, მეორე იყო 34 წლის **ჯულიან დინი**, ხოლო 38 წლის **რობი მაკიუენმა** მეოთხე ადგილი დაიკავა.

ახალგაზრდებმა მეორე დღეს გასცეს პასუხი ვეტერანებს. მეხუთე ეტაპზე სერიოზული ამაღლება არ ყოფილა და ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ჯგუფურ ფინიშზე გაირკვეოდა. დისტანციის ბოლოს თავდაპირველად „გარმინი" გააქტიურდა, მაგრამ წინა ეტაპებზე რამდენიმე დაცემის გამო ამ გუნდის ლიდერი **ტაილერ ფარარი** საკუთარ თავს არ ჰგავდა და ფინიშზე ვერაფერი აჩვენა.

სამაგიეროდ, ყველაფერი გამოუვიდა „კოლამბიას". ბრწყინვალე გუნდური მუშაობის შემდეგ ბრიტანელმა **მარკ კევენდიშმა** ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მისი დამწევი არავინ იყო. პეტაკიმ შიდა რადიუსით კონტრშეტევა სცადა, მაგრამ ის კინაღამ გვერდითა ბარიერს მიაჯახეს, სხვებმა კი ბრიტანელს ვერაფერი მოუხერხეს. სწორედ ასეთ სტილში იგებდა ეს შესანიშნავი სპრინტერი შარშანდელ ტურში ეტაპებს, აქ კი პირველ წარმატებას მიაღწია და ამის გამო პოდიუმზე ცრემლები ვერ შეიკავა. სხვათა შორის, ეს 25 წლის ბრიტანელისთვის მე-11 ტრიუმფია მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონში. ამ ტურის წინ ის განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიდა, რომელიც ყოველი ეტაპის შემდეგ იზრდებოდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კევენდიში ისევე სახიფათოა, როგორც შარშან. სხვათა შორის, ამ ეტაპის სხვა ორი პრიზიორი 23 წლის გახლავთ.



### V ეტაპი

**ეპერნე-მონტარჟი (187 კმ)**

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, HTC-Columbia) - 4.30,50; 2. **ჯერალდ ჩიოლეკი** (გერ, Team Milram) - იგივე დრო; 3. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 4. **ხოსე ხოაკინ როხას პილი** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო; 5. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, Cervelo TestTeam) - იგივე დრო; 6. **სებასტიან ტურგო** (საფ, Bbox Telecom) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, SaxoBank) - 22.59,45; 2. **ჯერეინტ ტომასი** (ბრიტ, Team Sky) - +0,23; 3. **კედელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,39; 4. **რაიდერ ჰეშედალი** (კან, Garmin) - +0,46; 5. **სილვენ შავანელი** (საფ, Quick Step) - +1,01; 6. **ანდი შლეკი** (ლუქსემ, Team SaxoBank) - +1,09; 7. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, Cervelo TestTeam) - +1,19; 8. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +1,31; 9. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +1,40... 18. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +2,30... 24. **ლევი ლაიფჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +2,53... 48. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +3:19... 49. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +3:20...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **შვედეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| აიკ-ჰელსინგბორგი | 1:1 პენ. 3:4 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-ჰონკა | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კლუბი04-ჰამეენლინა | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-სპორტინგი | 0:3 |
| დროგედა-ბოჰემიანსი | 0:1 შეწყდა |
| სლიგო-გალვეი | 3:0 |
| სტ. პატსი-უნივერსიტი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-შელბურნი | 0:1 |
| დერი-უექსფორდი | 3:1 |
| ლიმერიკი-სოლტჰილი | 5:0 |
| მერვუ-ლონგფორდი | 4:3 |
| უოტერფორდი-მონეგანი | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| სიბირი-დინამო | 2:2 |
| რუბინი-კრილია | 3:0 |
| ალანია-ზენიტი | 1:3 |
| როსტოვი-სპარტაკი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-ავანგარდი | 2:1 |
| ლუჩ ენერგია-სალიუტი | 2:0 |
| ირტიში-ჟემჩუჟინა | 0:1 |
| ურალი-კრასნოდარი | 3:1 |
| კამაზ-ნიჟნი ნოვგოროდი | 3:2 |
| დინამო (ს-პ)-შინიკი | 2:5 |
| ხიმკი-როტორი | 1:3 |
| ვოლგა-მორდოვია | 3:0 |
| დინამო (ბრ)-ბალტიკა | 0:1 |
| ყუბანი-ვოლგარი | 6:1 |
| **უკრაინა** | |
| ზორია-სევასტოპოლი | 0:0 |
| არსენალი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |
| ილიჩივეცი-მეტალურგი (დ) | 1:1 |
| ობოლონი-დინამო | 2:2 |
| **სლოვენია** | |
| **სუპერთასი** | |
| მარიბორი-კოპერი | 0:0 პენ. 4:5 |
| **ლატვია** | |
| ბლაჟმა-ვენტსპილსი | 0:5 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ნიუპორტი** | |
| ფიში-დანჩევიჩი | 6:7, 6:4, 6:4 |
| ჰარისონი-ბლუმფილდი | 7:5, 6:7, 5:7 |
| **WTA. ბასტადი** | |
| რეზაი-საფაროვა | 6:3, 6:3 |
| პენეტა-დულკო | 3:6, 1:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| დულგერუ-სევასტოვა | 6:7, 6:2, 7:6 |
| შნიდერი-ჰერცოგი | 7:5, 1:6, 6:4 |
| შავაი-კორნე | 6:3, 6:1 |
| მ. გარიგესი-ონდრაშკოვა | 5:7, 6:1, 4:6 |
| **დევისის თასი** | |
| **ესპანეთი-საფრანგეთი 0:2** | |
| ფერერი-მონფილსი | 6:7, 2:6, 6:4, 7:5, 4:6 |
| ვედრასკო-ლოდრა | 7:6, 4:6, 3:6, 6:7 |
| **რუსეთი-არგენტინა 1:1** | |
| დავიდენკო-ნალბანდიანი | 4:6, 6:7, 6:7 |
| იუჟნი-ლ. მაიერი | 6:3, 6:1, 6:4 |
| **სერბეთი-ხორვატია 2:0** | |
| ჯოკოვიჩი-ლუბიჩიჩი | 7:6, 6:4, 6:1 |
| ჩილიჩი-ტროიცკი | 6:4, 7:5, 6:2 |
| **ჩილე-ჩეხეთი 1:1** | |
| მასუ-მინარი | 0:6, 2:6, 3:6 |
| ჰაიეკი-კადევილე | 6:0, 6:2, 6:1 |

## TV პროგრამა

### 10 ივლისი. შაბათი

**I არხი**

20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი-გერმანია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
09:15 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ფიორენტინა.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
14:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-ბარსელონა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
19:55 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
21:40 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
22:25 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სტანდარდი-ალკმაარი.
00:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
03:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
04:45 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
05:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი. მონტარჟი-გენიონი.
11:55 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
12:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
13:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
13:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი. მონტარჟი-გენიონი.
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი. ტურნიუ-სტასიონ ლე რუსი (LIVE).
19:30 ტამესივარი (ნივთების მსხვრევა). მსოფლიოს ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
20:00 ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
20:15 დომინო. საერთაშორისო ტურნირი. აშშ.
21:00 ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
21:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი. ტურნიუ-სტასიონ ლე რუსი.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 ბრძოლა წესების გარეშე.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
02:10 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
02:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
02:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი. ტურნიუ-სტასიონ ლე რუსი.

### 11 ივლისი. კვირა

**I არხი**

21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ფინალი. ესპანეთი-ჰოლანდია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
09:15 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-რუბინი.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
14:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სტანდარდი-ალკმაარი.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.
19:55 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
21:40 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
22:25 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-რეალი.
00:25 საფეხბურთო პროგრამა.
01:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
03:30 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
05:15 საფეხბურთო პროგრამა.
05:45 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი. ტურნიუ-სტასიონ ლე რუსი.
12:10 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
12:15 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ლუცერნი. შვეიცარია (LIVE).
13:45 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I ცდა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი. სტასიონ ლე რუსი-მორზინ ავორიაზი (LIVE).
19:30 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრნო. ჩეხეთი.
20:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II ცდა. ბრნო. ჩეხეთი.
21:00 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
21:15 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ლუცერნი. შვეიცარია.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ლუცერნი. შვეიცარია.
23:00 პროფესიული კრივი.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
02:10 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
02:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II ცდა. ბრნო. ჩეხეთი.
02:45 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გადამწყვეტი ბრძოლა იწყება

ბრიტანეთის გრან-პრიზე ამ სეზონის განმავლობაში პელოტონში პირველად მოხდება ცვლილება. სილვერსტოუნში HRT-ის მეორე პილოტი, იაპონელი **საკო იამამოტო** იქნება - იაპონელი ბრაზილიელ **ბრუნო სენას** შეცვლის.

თანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ვარჯიშზე, არამედ უშუალოდ რბოლაში ცვლილებაზე. ჯერჯერობით ესპანურ გუნდს ამ ნაბიჯის მიზეზი არ დაუსახელებია, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, საქმეში ფინანსური ფაქტორი ჩაერია. ამ სეზონში 27 წლის იამამოტომ ფორმულა 1-ის მანქანის საჭესთან სულ რალაც საათ-ნახევარი გაატარა - სტამბოლში თურქეთის გრან-პრის თავისუფალ პრაქტიკაზე.

HRT-ის ხელმძღვანელმა **კოლინ კოლესმა** BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა ეს ცვლილება. მისი თქმით, გუნდი ბრიტანეთის გრან-პრის შემდეგ გაარკვევს, ვინ იქნება HRT-ის მეორე პილოტი მომდევნო ეტაპებზე.

■ ■ ■

საინტერესო განცხადება გააკეთა „მერსედესის" პილოტმა **მიხაელ შუმახერმა**. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის თქმით, ამ სეზონში ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლებელია და ამიტომაც მთელი ყურადღება 2011 წლის სეზონზე გადააქვს.

*„ლიდერებთან ჩამორჩენის გათვალისწინებით, ტიტულზე აღარ ვფიქრობ - ეს ამოცანა შეუსრულებელი ჩანს. მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია უნდა შევაგროვოთ და მომდევნო სეზონისთვის მოვემზადოთ - მე მზად ვარ ამ სამუშაოს შესასრულებლად.*

*ჩემს ცხოვრებაში ბევრი რთული სიტუაცია ყოფილა. ამიტომაც არ ვნერვიულობ და მოტივაციაც წესრიგშია - ისევე ბევრს ვმუშაობ, როგორც ადრე და კმაყოფილი ვარ ჩემი გამოსვლით.*

*იმედი მაქვს, ამ უქმეებზე უფრო კონკურენტუნარიანი ვიქნებით, ვიდრე ვალენსიაში. მაშინდელი შედეგების გათვალისწინებით, უარესად გამოსვლა უბრალოდ შეუძლებელია. მიგვაჩნია, რომ სილვერსტოუნში მანქანა იმ დონეს დაუბრუნდება, რაც კანადის წინ იყო, უფრო მეტის მისაღწევად კი იღბალი დაგვჭირდება"*, - ამბობს ლეგენდარული გერმანელი.

■ ■ ■

2010 წლის სეზონის მეორე ნახევარი ძალიან დაძაბული იქნება - ამაზე ყველა ექსპერტი თანხმდება. მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი და ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბის პრეზიდენტი **დეიმონ ჰილი** დარწმუნებულია, რომ სიტუაციის არევაში მთავარ როლს „მაკლარენის" ჩემპიონები - **ლუის ჰემილტონი** და **ჯენსონ ბატონი** ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელ პილოტებს ერთმანეთთან სულ ექვსი ქულა აშორებთ. ცხრა სასტარტო რბოლაში მათ ორ-ორ გამარჯვებას მიაღწიეს, ისევე როგორც „რედ ბულის" პილოტებმა - **სებასტიან ფეტელმა და მარკ უებერმა.**

*„აქამდე „მაკლარენში" მშვიდი სიტუაცია იყო, მაგრამ კულმინაცია ახლოვდება*, - ამბობს ჰილი BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში. - *როცა გუნდს უძლიერესი მანქანა და უძლიერესი პილოტები ჰყავს, ხანძრის თავიდან აცილება შეუძლებელია. ვიცი, რომ ლუისი იმ კატეგორიის სპორტსმენებს განეკუთვნება, რომლისთვისაც ნორმალური სიტუაცია მაშინ დგება, როცა პირველ ადგილზე იმყოფება. ჯენსონი ამ დონემდე ოპორტუნისტი არ არის, გამოცდილი და დაბრძენებული პილოტია, მაგრამ ეჭვი მეპარება, თანაგუნდელს ასე იოლად მისცეს წყლიდან მშრალად ამოსვლის საშუალება. ჰემილტონისთვის ასეთი მაღალი დონის მეწყვილე ერთადერთი რამის გარანტიაა - ლუისს იოლი ცხოვრება არ ექნება. დრო ულმობლად გადის და ახლოვდება ის წამი, როცა გზაზე მხოლოდ ერთისთვის დარჩება ადგილი..."*

■ ■ ■

ლუისმა და ჯენსონმა დიდი ყურადღებით მოისმინეს თანამემამულის სიტყვები, მაგრამ ერთხმად განაცხადეს, რომ ჰილის მოსაზრება მოახლოებულ ხანძარსა და ვნებების დაძაბვაზე მეტად გადაჭარბებულია.

*„ყოველთვის მაინტერესებს, რას ფიქრობენ წინა წლების ჩემპიონები ჩვენზე, ამჟამინდელ ჩემპიონებზე, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა იმის ნახვა, რამდენად მართლდება მათი პროგნოზები*, - ამბობს ჰემილტონი. - *ვნახოთ, რამდენად კარგად იცის მისტერ ჰილმა ის, რაზეც ლაპარაკობს".*

*„მე და ლუისმა ვიცით, რომ უბრალოდ არ გავდივართ ტრასაზე - ორივე ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძვით, თანაც არა მარტო ფეტელთან, უებერთან და ალონსოსთან, არამედ ერთმანეთის წინააღმდეგაც*, - ეს ბატონის სიტყვებია. - *მაგრამ ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ და მართალია, ბოლომდე საბრძოლველად ვართ განწყობილი, ვაპირებთ ყველას დავანახოთ, ვინ არის უძლიერესი. ჩვენ არ ჩავიდენთ სულელურ და წინდაუხედავ ნაბიჯებს".*

ბრიტანეთის გრან-პრის წინ ჰემილტონი და ბატონი პრესას Great Ormond Street Hospital-ში შეხვდნენ. ეს ის საავადმყოფოა, რომელსაც ფორმულა 1 დახმარებას უწევს. იქ ერთ-ერთმა პაციენტმა ავტომრბოლელებს ჰკითხა - ხომ არ დაუდიათ ერთმანეთში ფსონი იმაზე, თუ ვინ გახდება წელს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

*„ალბათ, ღირდა ამის გაკეთება!* - გაიცინა ჰემილტონმა. - *და მოგების შემთხვევაში ჯენსონი თავის ერთ-ერთ მანქანას მომცემდა!"*

*„ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი მანქანები ფარეხში ხელშეუხებელი დარჩებოდა*, - მაშინვე უპასუხა ბატონმა. - *არა, ფსონი არ გაგვიკეთებია, მაგრამ იმის გამო, რომ ორივენი ვაპირებთ ჩემპიონობას, ეს ერთგვარ სანაძლეოდ ჩათვალეთ!"*

■ ■ ■

წინა ეტაპის მთავარი დაზარალებული, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** სილვერსტოუნში აპირებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას, რომელიც ვალენსიაში დაკავებული მერვე ადგილის შემდეგ გაუარესდა. „ფერარის" პილოტი დარწმუნებულია, რომ ის ტექნიკური განახლებები, რომელიც ევროპის გრან-პრის წინ შესრულდა, მთელი სიმძლავრით სწორედ ბრიტანეთის გრან-პრიზე ამუშავდება.

*„ჩვენი სიახლეები ჯერ კიდევ ორი კვირის წინ საკმაოდ ეფექტური იყო, მაგრამ სრული სიმძლავრით ისინი ისეთ ჩქაროსნულ ტრასაზე ამუშავდება, როგორიც სილვერსტოუნია*, - ამბობს ალონსო. - *ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და ბევრი რამ ახლა გადაწყდება, როცა ოთხი კვირის განმავლობაში სამი რბოლის ჩატარება მოგვიწევს. ჩვენ მზად ვართ ამ გამოწვევის მისაღებად როგორც ტექნიკურად, ასევე ფსიქოლოგიურადაც. „ფერარის" ბოლიდზე მუშაობა ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, ის შედეგს მოიტანს. მთელი რიგი ცვლილებები შევიტანეთ ვალენსიის რბოლის წინ, სილვერსტოუნშიც დაემატება სიახლეები და არც შემდეგ ვაპირებთ გაჩერებას. ბრიტანული ტრასის მახასიათებლები „ფერარისთვის" არც ისე კარგია, მაგრამ არ ღირს წინასწარ ჩვენი ჩამოწერა. სავარაუდოდ, ჩქარ მოსახვევებში სიჩქარე გაიზრდება, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვმატებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონის ვინაობა არა სილვერსტოუნში ან მომდევნო სამ რბოლაში, არამედ ნოემბერში გაირკვევა".*

■ ■ ■

„ფერარიმ" სილვერსტოუნში ახალი ლოგოს პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც წითელ მანქანებზე 2011 წლის სეზონიდან განთავსდება.

იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი შტრიხკოდების საკითხის დასახურად გამოიყენა, რომელშიც ევროპელმა ექსპერტებმა Marlboro-ის ლოგოსთან მსგავსება ამოიკითხეს და „სკუდერია" თამბაქოს რეკლამაში დაადანაშაულეს. ასე რომ, მომავალი სეზონიდან „ფერარი" ახალი ლოგოტიპით წარდგება ფორმულა 1-ის მოყვარულების წინაშე.

ამასთან, გუნდის ხელმძღვანელმა **სტეფანო დომენიკალიმ** ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ საჯინიბო ძველ სახელს შეინარჩუნებს, რომელშიც თამბაქოს ცნობილი ბრენდის სახელწოდება დარჩება - Scuderia Ferrari Marlboro.

■ ■ ■

დაბოლოს, ბრიტანეთის გრან-პრის წინ კიდევ ერთი პრეზენტაცია შედგა. კერძოდ, „მაკლარენის" წევრმა ლუის ჰემილტონმა თავისი ჩაფხუტის ახალი დიზაინი წარმოადგინა.

გასულ წელს ლუისმა საშინაო გრან-პრის წინ გამოიყენა ჩაფხუტის უნიკალური შეფერილობა. ისევე, როგორც 2009 წელს, მასზე ახლაც ბრიტანეთის დროშაა გამოსახული, რომელსაც გრენადის დროშის ფერები დაემატა.

**ბრიტანეთის გრან-პრი**

**კვალიფიკაცია - შაბათი. 15:55**
**რბოლა - კვირა. 15:50**

**გია თვალაბეიშვილი**

9 ივლისიდან




**რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი**

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის